# სახალხო გაზეთი

№ 492 ოთხშაბათი, 4 იანვარი, 1912 წ. № 492

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ჟურნალ-გაზეთების სააგენტო

იმერეთი

—ქუთაისში—

ამით აცხადებს, რომ ის იღებს ხელის მოწერას

1912 წ. ,,სახალხო გაზეთ“-ზე

ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ იმავე დილით, რა დღესაც ტფილისში გამოდის ,,**იმერეთის**“ კანტორიდან.

სახალხო გაზეთი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემლი

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,

რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი** ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

**დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.**

**ექვსი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული ,,გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) **,,სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

**წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:**

წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან არა უგვიანეს **29 დეკემბრისა, საკომისიოდ მიეცემა 5%.**

თელავის განყოფილების

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

მიიღება ხელის მოწერა „**სახალხო გაზეთ**“-ზე.

თელავის განყოფილების

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

(ზემო ბაზარზე, სოლოდოვევის მაღაზიაში)

[illegible]ება ყოველ-გვარი საკანცელარიო და სამოსწავლო ნივთები და წიგნები. აქვე მოწყობილია ჟურნალ-გაზეთების აგენტურა.

[illegible]ვთხოვთ წიგნების გამომცემელთ, ახლად გამოსული წიგნები საკო[illegible]ოდ გამოგვიგზავნონ. (3,1676,3)

[illegible]ფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

[illegible]ოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 12½—1½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი [illegible] მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1069—239)

დოქტორი მედიცინისა წამლობა ძლეკისა

ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა

ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 2 11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—68).

საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 204)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. **ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა 606 -

(წლ. 1090 243)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 76)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყურლანოვის ქ., № 20. (წ. 1249 50).

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებათ ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9 5 ).

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.7)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

ექიმი ნ. ტ. მულინი

ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე. სერგეევის ქ. 8. (თ. 1515 55).

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.37).

ექიმი მ. ს. კობერიძე

ქ. გორში

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9 12 ს.-მდე. საღ. 5—7 სემინარიის ქუჩაზე სახლი № 1 ზანგურიძისა. (25 968 15)

ექიმი ე. ი. მიქასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. [illegible]-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 სათამდე.

ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—66).

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე

იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4 6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.

კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ—1657—9)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ჩვენის გაზეთის ახალწლის ნომერში ნარკვევად ამოღებული გვქონდა „ს. პეტერბ. ვედომოსტში“ დაბეჭდილი წერილი კავკასიის უნივერსიტეტის თაობაზე. ეხლა ამავე საკითხს ეხება „რუსკია ვედომოსტში“ პროფ. **ალ. ხახანაშვილი.** იგი ამტკიცებს, ტფილისში უნდა დაარსდეს უნივერსიტეტი და არა კავკავში. 30 წელიწადია კავკასია მოუთმენლად მოელის უნივერსიტეტის დაარსებას. იყო დრო, როცა უნივერსიტეტს ედავებოდნენ ერთმანეთს: ბაქო, ბათომი, კავკავი, ეკატერინოდარი, ქუთაისი და ტფილისიც. ეხლა ყველაზე ძალიან გრ. ვოლობცოვ[illegible]დამკოვმა და საქმეს კიდევ ართულებენო, ამბობს ალ. ხახანაშვილი. ბოლოს იგი ამტკიცებს ტფილისის უპირატესობას და ამბობს:

> ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი საჭიროა, უპირველესად ყოვლისა, თვით ამიერ-კავკასიელთათვის, რომელნიც ჩრდილოეთის მკაცრ ჰავას ვერ იტანენ. კავკავის ნოტიო ჰავა და ბურუსიანობა ქართველისა და სომხისთვის ისეთივე დამღუპველია, როგორც მოსკოვის ყინვა და თოვლჭყაპი. ტფილისში მხოლოდ ივლისსა და აგვისტოს ჩამოცხება ხოლმე, როდესაც სასწავლებლები დაკეტილია და ახალგაზდობა ნებივრობს ამიერ კავკასიის ბუნების წიაღში, რომელიც ჩრდილო-კავკასიას არ ჩამოუვარდება არც მომხიბლაობითა და არც მინერალის წყლითა (ბორჯომი, უწერა და სხვ.)

შემდეგ ავტორი წყლის ნაყვას უწოდებს საადმინისტრაციო ცენტრის ტფილისიდან კავკავს გადატანას და ასეთი მოსაზრებანი უსაფუძვლოდ მიაჩნია.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს** კრება დღეს, 4 დეკემბერს მოხდება. განსახილველი აქვს 13 საქმე.

✦ **ექსკურსია.** ტფილისში ჩამოვიდა დაღესტანის ოლქის მასწავლებელთა ექსკურსია, რომელმაც რამდენსამე დღეს უნდა დაჰყოს. 1 იანვარს ტფ. ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის უფროს კლასის მოსწავლენი მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ბათომს გაემგზავრნენ იქაურ ნავთსადგურში მდგომ გემების დასათვალიერებლად. ტფილისში ხვალ დაბრუნდებიან.

✦ **ტფ. სათავად-აზნაურო სადგურ-მამულო კომისიამ** 300 მან. მისცა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას მეფუტკრეობის შესახებ ქართულ წიგნაკების გამოსაცემად. 100 ცალი ამ წიგნაკისა სოფლის სკოლებს უფასოდ დაურიგდება.

✦ **კავკასიის სააბრეშუმო სადგურმა** ახალი სურათებიანი პრეისკურანტი გამოსცა, რომელიც წინად გამოცემულ პრეისკურანტებისგან, სხვათა შორის, იმით განსხვავდება, რომ შიგ ჩართულია მრავალი პრაქტიკული დარიგებანი და ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ.

✦ **მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა** 58,000 მან. შეიტანა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში კავკასიაში ახლად დაარსებულ მევინეობისა და მევენახეობის რვა კომიტეტის შესანახად. თითოეულს კომიტეტზე 7,275 მანეთია გადადებული.

✦ **კავკასიის შინა მრეწველობის შესასწავლად** მიწად-მოქმედებისა და მიწად-მომწყობის სამმართველოს კავკასიის მთავარ რწმუნებულის განკარგულებაში 6.725 მან. გადაიდო.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მიწად-მოქმედების სამმართველოს კავკასიის მთავარ რწმუნებულს სთხოვა, უშოვოს მას **სპეციალისტი-აგრონომი,** რომელსაც შეეძლება ინსტრუქტორის მოვალეობა შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში. ჯამაგირად სპეციალისტ-აგრონომს წელიწადში 2,000 მან. ექნება, ამას გარდა 500 მან. საგზაო ხარჯად.

✦ **სასცენო მოღვაწეთა წრეს „ნაძალადევს“** ქალაქის თვითმმართველობისაგან 100 მან. ყოველწლიური დახმარება აქვს დანიშნული. წრე ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობს, რათა ამას შემდეგ 300 მან. მიეცეს.

✦ **ხორცის ახალი ნიხრი** გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა. ძროხისა ღირს 12 კაპ. და ცხვრისა—14 კ.

✦ **წვრილ კრედიტის** ინსპექტორი ვ. ა. ვიფორსი ქვემო ქალის საკრედიტო ამხანაგობის ანგარიშებისა და საქმის წარმოების შესამოწმებლად გაემგზავრა.

✦ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის** უფროსმა გუბერნატორს აცნობა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებების [illegible], სოფელში შემთხვევაში შეუძლიან, თუ მცხოვრებნი განყოფილებას სამის წლით უფასო შენობას მისცემენ და ამას გარდა ერთდროულად 800 მან. გადაიხდიანო.

✦ **სპარსეთში მოკლულ აფიცრის ა. ვახვახიშვილის ცხედრის მოსვენება.** გუშინ, დილის ათ საათზე, რკინის გზის სადგურზე მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი. იყვნენ სამხედრო პირნი და ნათესავ-მეგობარნი განსვენებულისა. 11 საათზე მატარებელი მოვიდა და განსვენებულის ცხედარი სადგურზე დაასვენეს, სადაც მცირე პანაშვიდი იყო გადახდილი. სადგურიდან მრავალ ხალხისა და ჯარის-კაცთა თანხლებით პროცესიამ გაიარა ვოგზლის ქუჩა, ელისაბედისა, მიხეილისა, 19 თებერვლისა და კახეთისა. უკანასკნელ ადგილას პანაშვიდი კვლავ გადაიხადეს. მუსიკას უკრავდა ორი ორკესტრი. მღეროდა ნამესტნიკის მგალობელთა გუნდი. ნაშუადღევის 1 საათზე ცხედარი ეტლით თელავს წაასვენეს.

✦ **გუბერნატორს დასამტკიცებლად წარედგინა არჩევნები,** რომელიც ქალაქის საბჭოს 29 დეკემბრის კრებაზე მოხდა. ამ დღეს, როგორც ვწერდით, ქალაქის მდივნად მ. ა. ჯაბარი აირჩიეს, საბჭოს კრებების თავმჯდომარედ განსაკუთრებულ შემთხვევებისთვის მ. ვ. ლუნკევიჩი, ხოლო საბჭოს წარმომადგენლად ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში—ი. მ. დოლუხანოვი.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულოს** კრება ამ კვირია არ მოხდება. 1911 წლისთვის ჯარში გასაწვევთა სრულს კომპლექტს ამ ჟამად 24 კაცი აკლია.

✦ **წვრილ კრედიტის ამხანაგობის** დაარსების ნება მიეცა გორის მაზრის სოფელს ხიდისთავსა. ამხანაგობას ძირითად თანხად 1,000 მან. მიეცემა, ხოლო მოკლე ვადიან სესხად—3,000 მან.

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ **საკომერციო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების** წევრთა საერთო კრება კვირას, 8 იანვარს მოხდება. კრება აირჩევს საკომერციო სასწავლებლის საბჭოს წევრებს და განიხილავს საკითხს ამავ სკოლის ახალ შენობის შენების შესახებ.

### სასწავლებლებში.

✦ **ტფ. ქალთა უმაღლეს კურსებზე** სწავლა 13 იანვარს დაიწყება. ამ დროისთვის ტფილისში დაბრუნდება კურსების 30 მსმენელი ქალი, რომელნიც მოსკოვისა და პეტერბურგის დასათვალიერებლად არიან წასულნი.

### სომხეთა ცხოვრებიდან.

✦ კავკასიის სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოებასთან არსებული **ბიბლიოთეკა** დეკემბრის განმავლობაში 3,249 კაცს უსარგებლნია. სახლში წასაკითხავად წაუღიათ 1,939 წიგნი.

## ტფ. ქალაქის საბჭო

### 2 იანვარი.

კრება საღამოს 8 საათზე დაიწყო ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით.

პირველად განხილულ იქმნა ტფ. „კრუჟოკ“-ის განცხადება. „კრუჟოკ“-ი, როგორც ვიცით, მოთავსებულია საქალაქო შენობაში, რომელიც ქალაქისაგან იჯარით აღებული აქვს. საიჯარო ხელშეკრულობის ვადა 1913 წელს თავდება. „კრუჟოკ“-ის გამგეთ საჭიროდ უცვნიათ, შენობაზე ერთის სართულის კიდევ დადგმა და თვით შენობის მცირე შეკეთება, რაიც 70,000 მან. ხარჯს ითხოვს. „კრუჟოკი“ ქალაქსა სთხოვს, ნახევარი ხარჯი თქვენ იკისრეთ, ნახევარს კი ჩვენ ვკისრულობთ იმ პირობით კი, რომ 1913 წლის შემდეგ შენობა იჯარით კიდევ მოგვეცესო. გამორკვევა და თავის მოსაზრებათა წარმოდგენა სატეხნიკო კომისიას დაავალა.

შემდეგ ხანგრძლივი კამათი და სჯა-ბაასი გამოიწვია იმ საქალაქო ადგილმა, რომელიც კახეთის რკინის გზას უნდა დაეთმოს. დადგენილ იქმნა, კახეთის რკინის გზის საზოგადოებას ნავთლუღში დაეთმოს საქონლის სადგურისათვის საკმარისი ადგილი—საჟენი ორ მანეთად იმ პირობით კი, რომ რკინის გზაზე ამ თავობითვე უნდა გაკეთებულ იქმნეს ფეხითა და ურმით გადასასვლელი ოთხი გზა, შემდეგში კი ასეთ გზის რიცხვი რვამდე უნდა იქმნას აყვანილი.

დასასრულ მოსმენილ იქმნა პროფ. სივერსის მოხსენება ქალაქის ბუჰგალტერიის რეორგანიზაციის შესახებ, რომლიდანაც გავიგეთ, რომ ორმაგი იტალიური სისტემა ქალაქის ბუჰგალტერიაში მას უკვე შემოუღია და ყველა საქმე ისე დაუყენებია, როგორც პირველად იყო საჭირო. პროფ. სივერსი ამ საქმისთვის მესამედ და უკანასკნელად ჩომავალს მაისში ჩამოვა და თუ რაიმე შეცდომები აღმოჩნდება, შეასწორებს. მისის აზრით, საჭიროა კონტროლის გაძლიერება, ხოლო რაც შეეხება ეკონომიას, ამას აუცილებლად მისცემს ქალაქს ახლად შემოღებული სისტემა.

## ნ. ბ. ღოღობერიძის დასაფლავება

გუშინ მიწას მიაბარეს განსვენებულის მოღვაწისა და ქველმოქმედის ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოღობერიძის ცხედარი. დილის 10 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც განსვენებული ესვენა, მრავალ ხალხის თანადასწრებით გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. მწირველი იყო ალავერდის ეპისკოპოსი დავითი, თანამწირველი კი—ორი არქიმანდრიტი და ქალაქის უმაღლესი სამღვდელოება. ეკლესიაში სიტყვები წარმოსთქვეს: ეპისკოპოსმა დავითმა, დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ და სამების ეკლესიის მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა. დაესწრნენ წარმომადგენელნი: ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, ქართულ გიმნაზიისა, პრესისა და სხვა ქართულ საზოგადო დაწესებულებებისა, ტფ. გუბერნიის

თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი, ტფ. მაზრისა—თავ. პ. ი. თუმანიშვილი, ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი: თელავისა—თავ. გურამიშვილი, ბორჩალოსი—თავ. საგინაშვილი, ლეჩხუმისა—თავ. ი. გელოვანი, ოზურგეთისა თავ. კ. ერისთავი და სხვანი. კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა. ქვაშვეთის ეკლესიიდან ცხედარი დიდუბის ეკლესიაში წაასვენეს, რომლის ეზოშიც პანაშვიდის გადახდის შემდეგ მიწას მიაბარეს.

### სამგლოვიარო დეპეშები.

**ბაქო.** წერა-კითხ. გამ. საზოგად. ბაქოს განყოფილება ღრმად დაამწუხარა დაუვიწყარ ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოღობერიძის გარდაცვალებამ. იგი იყო ქართულ საზოგადოებრივ საუკეთესო გულისთქმათა მატარებელი და გულ-უხვი ქველმოქმედი.

**გამგეობა.**

**ხონი.** ღრმად დამაღონა ჩვენი საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედ ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოღობერიძის გარდაცვალებამ.

**ალექსი ჭიჭინაძე.**

**გოჩა ჯიხაიში.** გოჩა ჯიხაიშელნი განუზომელის მწუხარებით ვგლოვობთ აუნაზღაურებელ დანაკლისს, ჩვენი სოფლის ღირსეულ შვილის ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოღობერიძის დაკარგვით. იგი თავის ძალღონეს და ქონებას დაუზოგველად ახმარებდა თანამოძმეთა კეთილდღეობას. მისის მოღვაწეობით მადლიერი ჩვენი სოფელი გულწრფელად უსურვებს მას საუკუნო ხსენებას.

**გოჩა ჯიხაიშელნი.**

**ახალციხე.** ახალციხის ძველ-ქალაქის ქალთა სკოლის გამგე კომიტეტი სთხოვს პატივცემულ იაკობ გოგებაშვილს, რათა ქალთა სკოლის სახელით ჩვენი გულითადი თანაგრძნობა განუცხადოს განსვენებულ ქველმოქმედ ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძის ქვრივს დას ანნა ბესარიონის ასულს, რომლის დაარსებულიც არის ეს ერთად-ერთი სკოლა ახალციხელ ღარიბ ქართველთა ნაწილში.

თავმჯდომარის მაგიერ **ასათიანი**, გამგეობის წევრნი: **მაისურაძე, ლაზარაშვილი.**

**ჭიათურა.** ჩვენს მწუხარებას ვაცხადებთ ცნობილ საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედ ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოღობერიძის დაკარგვის გამო.

**ირ. დეკანოზიშვილი, ოთხმეზური, კოტე წერეთელი.**

# მარიამ მიხეილის ასულის საფაროვ-აბაშიძის იუბილეის გამო

2 იანვარს საიუბილეო კომიტეტს სხდომა ჰქონდა სადღესასწაულო წესრიგის შესამუშავებლად. კომიტეტმა მიიღო შემდეგი პროგრამმა: დღესასწაული, რომელიც დანიშნულია ქართულ თეატრში 22 იანვრისათვის, დაიწყება 12 საათზედ საზეიმო კანტატით, რომლის შემდეგ დღესასწაულის საპატიო თავმჯდომარე ბ-ნი **აკაკი** მიმართავს იუბილიარს სიტყვით. მერე დეპუტაციები ადგილობრივ და პროვინციის დაწესებულებათა მიესალმებიან იუბილიარს. მისალმების დროს, შიგა და შიგ, ორკესტრი და ხორო შეასრულებს სამუსიკო ჰანგებს და სიმღერებს. დღესასწაულის პირველი ნაწილი დასრულდება იუბილიარის სიტყვით. 22-ე იანვრისავე საღამოს [illegible], რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს თვით იუბილიარი. იმავე დროს მას მიესალმება ადგილობრივი ქართული დრამატიული დასი.—

სხვათა შორის, კომიტეტმა **თავ. პავლე თუმანიშვილის** წინადადებით, შემდეგი მეტად საყურადღებო გადაწყვეტილება მიიღო: 15 იანვარს კვირა დილით ქართულ თეატრში წაკითხულ იქნება ქართულ თეატრის წარსულის და მარიამ აბაშიძის მნიშვნელობის შესახებ. რეფერენტობა იკისრეს დღესასწაულის საპატიო თავმჯდომარემ ბ-ნმა **აკაკიმ** და საიუბილეო კომიტეტის წევრმა **გრიგოლ დიასამიძემ**. დილა **უფასოა**. გაიყიდება მხოლოდ პარტერის **პირველი ოთხი რიგი**. მოწვეულნი იქნებიან მოსწავლე ახალგაზდობა და მუშები. რეფერატებს დაესწრება იუბილიარი და კომიტეტის სრული კრებული. ამ დილის მოწყობა-გამგეობა იკისრა თავ. პავლე თუმანიშვილმა.

დაწვრილებითი პროგრამმა როგორც საიუბილეო დღესასწაულისა, აგრეთვე რეფერატებისა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

არავისზედ ისე ზედმიწევნით არ ითქმის ანდაზა „დრონი მეფობენ და არა მეფენიო", როგორც **მარიამ მიხეილის ასულ საფაროვ-აბაშიძის** შესახებ.

დიაღ, იყო დრო, როდესაც იგი ნამდვილ მეფედ ითვლებოდა ქართულ სასცენო ხელოვნების სამთავროში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ ნეტარ დროს მას არავინ გა[illegible]ლედ. კიდევ ბევრი ხანი გაივლის, ვიდრე ჩვენი სცენა მოესწრებოდეს ამ მსახიობის ღირსეულს ნაშიერს.

მსახიობის ბედ-იღბალი,—განსაკუთრებით დრამატიულ სცენისა,—ცინცინთელასა ჰგავს. იგი,—ამ შუქმფენ მწერსავით,—მხოლოდ მაშინ აღძრავს ადამიანის ყურადღებას, როდესაც ბრწყინავს თვისის მოღვაწეობით ხელოვნების ტატნობზე მდგარი. საკმარისია, ძირს დაეშვას და გათავდა! აღფრთოვანებული მისით საზოგადოება სცხრება, თანდათან ეჩვევა უიმისობას და ბოლოს სრულიადაც ივიწყებს.

სულ სხვა ვითარებაშია მწერალი, მხატვარი, მოქანდაკე. თითოეული მათგანი სტოვებს თვის აღმაფრენის შედეგს, რომლითაც მუდამ შეიძლება შემოწმება მისი ნიჭიერების და ნაყოფიერებისა. მსახიობი-კი ჰქმნის მხოლოდ აწმყოსთვის, მხოლოდ თანამედროვე მაყურებლის გულისხმიერებას აღძრავს და, თვის შემდეგ, სტოვებს მარტოოდენ მოგონებას. მოგონება-კი მკრთალი ლანდია სინამდვილისა და ადვილად ჰხდება დროსა და ჟამის მსხვერპლად.

ვისაც ოდესმე მარიამ აბაშიძისა სცენაზე უნახავს, ის თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ უიმისოდ ქართული სცენა იბოგინებდა, ან როდისმე ქართველი საზოგადოება დაივიწყებდა იმის შეუდარებელ ნიჭსა და ღვაწლს. მაგრამ, სმენის დაკარგვის გამო, დაშორდა იგი სცენას (და არა თეატრს) და საზოგადოებაც მიეჩვია უიმისობას, მიეჩვია თვით იმ გარემოებასაც კი, რომ ამ მსახიობ ქალის ნათამაშევ როლებს თამაშობენ სხვა მსახიობნი, რაღა თქმა უნდა, არა მაკოსებურის მეტყველებით და ცხოველმყოფელობით... მაინც არა დრტვინავს იგი და ეგუება ამ უფერულებას...

ეს ჩვეულებრივი და ბუნებრივი მოვლენაა. როცა ძვირფასი ჯავარი არ მოგეპოვება—უბრალო ბრჭყვიალა ქვასაც არ დაიწუნებ, თანდათან მიეჩვევი კიდეც და, იქნებ, ბოლოს და ბოლოს უკეთესზე ნატვრის უნარიც-კი დაჰკარგო.

მხოლოდ მარიამ აბაშიძისა და მისი თანაამხანაგნი, როგორც ვასილ აბაშიძე, კონსტანტინე ყიფიანი, ვლადიმერ მესხიშვილი, კოტე მესხი და ნეტარ ხსენებული, ან გარდაცვალებული ნატო გაბუნია-ცაგარლისა, როდი ეკუთვნიან ისეთ ჯურის მსახიობთა გუნდს, რომელთა აღმოფხვრა საზოგადოების მეხსიერებიდან გულგრილად როდი უნდა შეიწყნარებოდეს. იმის გარდა, რომ ეს მსახიობნი ზეგარდმო ნიჭით ცხებულნი არიან, რომ მათი ქურუმობა ქართულ ხელოვნების ტაძარში აღბეჭდილია ოქროს ასოებით,—მათივე წყალობით ჩაიყარა პირველი საძირკველი ქართულის მუდმივის სცენისა და—ამ მხრივ—მათი მოღვაწეობა ნაშთიანია, ძეგლად აღმართული. და, ვიდრე ეს ძეგლი—ქართული თეატრი—არსებობს, ვიდრე სასცენო ტრიბუნიდან გაისმის ქართული სიტყვა, ხან მბასრავი, ვით ნესტარი, ხან მოალერსე, ვით გაზაფხულის სიო, ამ მსახიობთა სახელი პატივით [illegible] ჩვენ შორის.

აი, სწორედ ამიტომ, სულით და გულით სათანაგრძნობოა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის განზრახვა მარიამ აბაშიძის საპატიოდ იუბილეს გამართვის შესახებ. და, თუ საზოგადოებაში არ აღკვეთილა გრძნობა სამართლიანობისა და ჭეშმარიტ მოღვაწეთა დაფასებისა,—მაშინ ეს დღესასწაული თვალსაჩინო და ბრწყინვალე უნდა იყოს.

შეიძლება მოზარდმა თაობამ არცკი იცოდეს, რა დიდი შრომა და დამსახურება მიუძღვის მარიამ აბაშიძისას სამშობლო სასცენო ხელოვნების მიმართ, მაგრამ მეოთხმოცე და მეოთხმოცდა ათე წლების თაობა ხომ მისი თანამედროვეა. იმათ გაიხსენონ ეს ღვაწლი და ხელი შეუწყონ ამ დღესასწაულს.

მარიამ აბაშიძისა პირველად სცენაზე 1878 წ. გამოვიდა. სწორედ იმ დროს, როდესაც ქართველ ინტელიგენციის მოწინავე ჯგუფი, აკაკი წერეთლის, გ. თუმანიშვილისა და სხვათა მეთაურობით, ცდილობდა სასცენო ხელოვნების აღორძინებას. მაშინ წარმოდგენები კანტი-კუნტად იმართებოდა. იმ ხანად უკვე ცნობილნი იყვნენ ვასილ აბაშიძე და კოტე ყიფიანი, როგორც ნიჭიერი სცენის მოყვარენი. ამათ მოჰყვა მარიამ აბაშიძისა და შემდეგ—1879 წ.—ნატ. გაბუნია და კოტე მესხი.

პირველივე ნაბიჯი მარიამ აბაშიძისა,—თეატრის მემატიანეთა სიტყვით,—ბრწყინვალე იყო. მართლაც და, თვით ბუნების ძალთა მეტყველება ამ მსახიობ-ქალის არსებაში ისეთის ჰარმონიულის მადლით შედუღებულიყო, რომ პირველსავე ნახვაზე გადასწყვეტდით—იგი სცენისათვის არის დაბადებულიო.

მოხდენილი შესახედაობა, ცქრიალა და ჰაეროვანი მიხვრა-მოხვრა, გრძნობა-მეტყველების მრავალ-ფეროვანებით სავსე სახე-თვალები, საკვირველი წკრიალა ხმა, იშვიათი დიქცია და ქართულ ენის ბუნებრივი კილო, რომლის მსგავსი ჩვენს სცენაზე არავისაგან გაგვიგია.

აი, ის გარეგანი თვისებანი, რითაც ნაკურთხი იყო ამ მსახიობ-ქალის არსება. ყველა ამას ზედ დაურთეთ მახვილი გონება და უებრო ალღო ზომიერებისა—და ადვილად წარმოიდგენთ, რა მადლ-მოსილებით აღსავსე უნდა ყოფილიყო მისი და ხელოვნების კავშირი.

ერთმა ჩვენმა კრიტიკოსმა სთქვა: —როცა მარიამ აბაშიძისა სცენაზე გამოდის—თან ქალწულებრივ კდემა-მოსილების შუქი შემოაქვსო. თეატრის ერთი მემატიანეთაგანი აღნიშნავს,—ამ მსახიობ-ქალის თითოეული მოძრაობა სახისა მთელი ცალკე პოემაა გრძნობა-მეტყველებისაო. თვით ავქს. ცაგარლისაგან გაგვიგია—„ციმბირელ"-ში რომ მაშიკოს როლს ვწერდი—თვალ-წინ სულ მაკო მყავდა. იმან რომ ყელ-მოღერებით და ტანის რხევით იცის ხოლმე გადმოხედვა—სწორედ იმიტომ ვათქმევინე პეტუას—„უჰ, შენ კი გენაცვალე ემაგ წელში, მაკარონივით რომ იმტვრევი"-ო. როცა სცენაზე ვიყავი ხოლმე [illegible] ვადევნებდი იმის აღფრთოვანებულ თამაშს,—თავში ერთბაშად ერთი მეორეზედ ძლიერი მხატვრული შედარება, მოსწრებული სიტყვა მებადებოდაო.-ეგ რად გინდათ? ამას წინად არ იყო-სოფრომ მგალობლიშვილმა აღნიშნა თავის მოგონებაში, ერთხელ მაკოს თამაშობამ ისე გამიტაცა, რომ სუფლიორის „ბუდკა"-ში მჯდარს მთლად გადამავიწყდა სუფლიორობა და პირღია შევცქეროდი სცენაზედ მოცქრიალე მსახიობ ქალს და გონზედ მაშინ მოველ, როცა სხვებმა წამომძახესო.

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ზოგიერთ ამა თუ იმ ფრაზას, მარიამ აბაშიძისაგან თავისებურად თქმულს, წარმოდგენის მეორე დღეს და შემდეგაც ხშირად გაიგონებდით ქუჩაში, სახლში, საზოგადოებაში. მაგალითად, მისი **„მრცხენიან, ღმერთმანი!"** (ადვოკატთან), **„საქორწილოდ ანტიკმორეს მიყიდი?!"** (ხათაბალა), **„მეც ნუცა გახლავართ"** (ალლუჰი), **„ვის ეკადრება!!"** (პეპო). თითოეული ეს-თავისთავად უმნიშვნელო-ფრაზა ისეთის კილოს ადევნებით, ისეთის სახის მოძრაობით იყო ხოლმე ნათქვამი, რომ მაყურებლის მეხსიერებაში რჩებოდა როგორც აფორიზმი, მოსწრებული, ნაკვესი რამ სიტყვა, რომლის გახსენება სცენის გარედაც-კი ესტეტიურ სიამოვნებას გაგრძნობინებდათ.

მარტო იმ როლების აღნუსხვა, რომელნიც ქ-ნ მარიმს უთამაშნია, თვალნათლივად დაგანახვებთ—რა ზომამდე იყო მისი ნიჭი მრავალმხრივი: გლეხის გოგო **ლიზა** (რაც გინახამს ვეღარ ნახამ), **ემმა** (დამნაშავის ოჯახი) და **ნატალია** (ხათაბალა); შულავრელ **ქევხას ქალი** (ქმარი ხუთის ცოლისა), **ოფელია** (ჰამლეტ) და **ეფემია** (პეპო); **მაყვალა** (ხევსურთა ხორციელი), **დეზდემონა** (ოტელლო) და **მაშიკო** (ციმბირელი); **ჟოზეფ** (პარიჟელი ბიჭი), **ფაიხოშ** (სამშობლო) და **ქაბატო** (ხანუმა); **ნინო** (გულმა იგრძნო), **კორდელია** (მეფე ლირი) და **ცირა** (თამარ ცბიერი). ასე და ამრიგად რომ ჩამოვწეროთ-ბევრისაგან ბევრი ჩამოითვლება. მე აქ ვასახელებ იმ როლებს, რომლებიც ამ ჟამად მაგონდება, და რომელთა განსახიერებაში თვით უჟინიანესი და უშარიანესი კრიტიკოსიც-კი ვერავითარ წუნს ვერ შენიშნავდა მსახიობ ქალს. აქ არ ვასახელებ იმ როლებს, რომლებიც სრულიადაც არ შეეფერებოდა მის ამპლუას, მაგალითად, დრამატიულ ხასიათისას, მაგრამ ქ-ნი მარიამი—მაინც იმ როლებსაც თვალსაჩინოდ თამაშობდა.

გაზომეთ ფარგალი მისის ნიჭის მრავალ ფეროვანებისა, ჩამოთვლილ როლების სხვა და სხვა ხასიათის მიხედვით, და მიხვდებით—რა დიდებული მსახიობი ჰყავდა ქართულ სცენას, რა მძლეთა-მძლე ქურუმი დაჰკარგა ამ სცენამ. მერე, რა მუყაითი, რა გულმოდგინე და მოყვარული ამ სცენისა!!!

მაგრამ მარტო მსახიობობით როდი შემოიფარგლება მისი მოღვაწეობა. იგი არა ერთხელ ყოფილა ქართულ ანტრეპრიზის სათავეში ად[illegible] აქ. მოგზაურობის დროს და კარგადაც წაუყვანია საქმე. როგორც გონიერ და მცოდნე ხელმძღვანელს. აი, ამ ჟამადაც, როდესაც იგი სცენაზედ ველარ თამაშობს, მაინც დიდად სასარგებლო თანამშრომელია ქართულ თეატრის საქმეში. იგი განაგებს სასამკაულო დარგს და არა ერთხელ გაგვიგონია ახლანდელ გამგეობის თავმჯდომარისაგან, რომ მარიამ აბაშიძისა—თვისის განსაკუთრებულის მხატვრულის ნიჭით და ალღოთი დიდად გვეხმარება სათეატრო საქმეშიო.

ოცდა თორმეტის წლის განმავლობაში დაუღალავის, თავდადებულის და ნაყოფიერის მოღვაწეობით, რომელიც გასხივოსნებული იყო ციურის ნიჭის აღგზნებით,—მარიამ აბაშიძისამ ღირსეულად დაიმსახურა საზოგადოების თანაგრძნობა და პატივისცემა.

იმედია, ქართველი საზოგადოება არ დაიშურებს მისთვის ამ თანაგრძნობას და პატივს და აღფრთოვანებით მიეგებება დიდებულ მსახიობ-ქალის დღესასწაულს 22 იანვარს ქართულ თეატრში.

გვახსოვდეს, რომ ეს დღესასწაული უკანასკნელი გამოხმაურებაა მსახიობ-ქალის და საზოგადოებისა ურთიერთისადმი.

**მემატიანე.**

# ჟურნალ „კოოპერაციის" გამო.

(**გაკვრით**)

ქართულ პრესსას არა ერთი წერილი უძღვნია როგორც კოოპერატიულ მოძრაობის დასაწყისზე ჩვენში, ისე თვით იმ ჟურნალზე, რომელიც ასე თუ ისე ემსახურება ამ დიდებულ საქმეს ჩვენი ხალხის ცხოვრებისათვის. როცა რომელიმე გაზეთი ან ჟურნალი გამოსვლას იწყებს, როცა არსდება დაწესებულება, როცა კავშირდება ჯგუფი საზოგადოებრივ ხასიათ-მნიშვნელობისა, ყველას ებადება კითხვა: არის თუ არა გამოჩეკილი მოვლენა ჩვენი ცხოვრებისათვის ნამდვილად საჭირო, არის თუ არა ის საზოგადო პირობები მზად, რომელიც გამოჩეკილ მოვლენის განვითარება უზრუნველ უნდა ჰყოს. როცა ამ მხრივ მოუვლით კითხვას თქვენთვის იჭვს გარეშე ხდება, რომ ისეთი საგანგებო ჟურნალი, როგორიც არის „კოოპერაცია" საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებისათვის დიდად საჭიროა.

მართლაც, აგერ ოცდა ათი წელიწადი გადის, როცა გაზ. „ივერია"-მ ერთი კორიანტელი ააყენა საგანგებო სკოლების შექმნისა და სპეციალისტ მოხელეთა გასამრავლებლად ჩვენში. მას აქეთ ცხოვრებამ არა ერთი მწარე სინამდვილით დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ცხოვრებისათვის ისეთი ხალხი, როგორიც არიან დილეტანტები ნაკლებად არიან საჭირონი, რომ განსაკუთრებით დღეს, როცა საშინელის ულმობელობით სწარმოებს სახელმწიფოთა შორის იმპერიალისტური და აგრესიული პოლიტიკა, როცა თვით სახელმწიფოს ჩარჩოში მთელის შემაძრწუნებლობით ვითარდება ეგრედ-წოდებული ზოოლოგიური ნაციონალიზმი,—ნაციონალიზმი მენშიკოვ-ზატერიანებისა, ნაციონალიზმი მარკოვ-პურიშკევიჩების,—აუცილებლად საჭიროა ერის მხრივ მთელი ძალის მოკრება და მოქმედების გაჩაღება, რომ მით მთელი ხალხის ცხოვრება საშინელ კრიზისიდან დაიძრას და ეკონომიურ აღდგენისაკენ გაექანოს. მართლაც, განა დღეს ჭეშმარიტებად არ არის მიჩნეული, რომ ხალხის სულიერ-გონებრივი სიმძლავრე, მთელ ერის აწმყო-მომავალის იმედი უზრუნველყოფილა ცხოვრების ნივთიერ პირობების განვითარება-განმტკიცებით? როცა ხალხი ნივთიერად ვითარდება, როცა მწარმოებელი ძალა სათანადოდ აწარმოებს თავის შემოქმედების ძალას, მაშინ ამ ხალხს ვერავითარი ნაციონალიზმი ვერას დააკლებს, მაშინ ასე-

# დაავადმყოფებული სული

რაღაც გამოურკვეველ უნუგეშობასა და სასოწარკვეთას მოუცავს ჩვენი არსებობა, გულიდან ამოხეთქილ კვნესა-ვაებას გაუღჟენთია ჰაერი და შავ-ბნელ ნისლივით გადასწოლია ჩვენს ცხოვრებას... ყოველ მხრიდან გაისმის სასომიხდილი შეკითხვა: რისთვის ვიცოცხლო რა დანიშნულება აქვს ცხოვრებას?

თითქოს აღარ არსებობდეს ძაფი. ცხოვრებასთან შემაკავშირებელი, თითქოს ისეთ ჯადოსნურ წრეში შევსულიყოთ, რომელშიაც ყოველივე წრფელი მიზანი და მისწრაფება რაღაც უხილავ ძალას წარეკვეცოს.

მიმოიხედეთ, ჩაუკვირდით, თუ რა ხდება ჩვენს გარშემო და გაოცდებით თვითმკვლელობათა რიცხვის დღითი-დღე ზრდით.

სულ რამოდენიმე დღის წინად გაზეთებმა გვამცნეს: საფრანგეთის ცნობილმა სოციალისტმა ლაფარგმა და მისმა მეუღლემ, კარლ მარქსის ასულმა თავი მოიწამლესო. ლაფარგს წერილი დაუტოვებია: „სულითა და ხორცით ჯანსაღი ბოლოს ვუღებ ჩემ ცხოვრებას, სანამ სიბერე,—რომელიც თანდათან მაკლებს სულიერსა და ფიზიკურ ძალ-ღონეს,—სრულიად მომისპობდეს ნებისყოფასა და ენერგიას. რამოდენიმე წლის წინადვე დავდევი აღთქმა, სამოცდა ათ წელიწადზე მეტი არ მეცხოვრა".

ამ შემთხვევაში იდეალის დაკარგვა კი არ ამოქმედებს ადამიანს, არც ცხოვრების მიმდინარეობით გულგატეხილობას აიძულებს მას უდროოდ შესწყვიტოს თავისი ცხოვრების მაჯისცემა, არამედ შიში სიბერის წინაშე, რომლის დროსაც კაცის სხეული დუნდება და მისი ფსიხიურ ნიჭიერებათა სიცხოველე თვალსაჩინოდ სუსტდება.

ლაფარგის სიკვდილის შემდეგ გავიდა სულ ცოტა ხანი და პრაგაში თავი მოიკლა ცნობილმა არქეოლოგმა. უეჭველია, ლაფარგების მიერ ჩადენილი საქციელი სხვა და სხვა ნაირად ახსნეს: ზოგნი მასში სიმხდალესა და სისუსტეს დაინახავდნენ, ზოგი, პირიქით, სიმამაცესა და ვაჟკაცობას. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ მაინტერესებს. დღეს მე სულ სხვა რამეზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

თუ საზღვარ-გარედ უმეტეს ნაწილად თავის მოკვლით სიცოცხლეს მხოლოდ მოხუცნი ათავებენ, ჩვენში სულ ახალგაზდანი, სიცოცხლით სავსე ყმაწვილები ესალმებიან წუთისოფელს. ხშირად, ძალიან ხშირად ამოიკითხავთ გაზეთში მე-5, ან მე-6 კლასის მოწაფემ თავი მოიკლაო. მწარე და აუტანელია, მკითხველო, ასეთი ამბის გაგონება; განსაკუთრებით კი დღეს, როდესაც თავისმკვლელობამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. თითქოს ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყოს და ჩვენთვის იგი ხშირად შეუმჩნეველიც რჩება.

გაზეთ „რუსკოე სლოვო"-ში დაბეჭდილია რუსეთის ცნობილ მეცნიერის, პროფესორ მეჩნიკოვის წერილი, რომელშიაც იგი სიბერეს ქრონიკულ ინფექციურ ავადმყოფობად სთვლის. მოხუცებას მეჩნიკოვი ნაწლევების ბაქტერიათაგან შემუშავებულ შხამს აწერს. და რადგან იგი მას ინფექციონურ ავადმყოფობათა რიცხვში ათავსებს, იმედს გამოსთქვამს, რომ ექსპერიმენტალური მედიცინის განვითარების შემწეობით სიბერეც ძლეულ იქნებაო.

„უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ უდროოდ მოხუცებისა და სიკვდილის შიში უეჭველად ძლეულ იქნება. ადამიანი იმ დრომდე შეირჩენს თვის ფიზიკურსა დ გონებრივ'უნარს ვიდრე სიცოცხლე არ მოსჰარბდება და სრულიად დაწყნარებული არ შეხვდება სიკვდილს. ასეთ მდგომარეობაში ის მოხუცნი, რომელნიც დღეს საზოგადოებას დასწოლიან სარჩენად, მომქმედნი და სასარგებლო წევრნი იქნებიან საზოგადოებისა და მაშინ აზრადაც არავის მოუვა, ხელოვნურად შეამოკლეს თვისი სიცოცხლის დღეებიო"—სწერს მეცნიერი.

შესაძლებელია, გამართლდეს კიდეც მეცნიერის აზრი, მაგრამ ჯერ ერთი, იგი შორეულ მომავლის საქმეა და მეორეც, იგი ბოლოს მოუღებს სიბერისა წინაშე შიშით გამოწვეულ თავისკვლას ხოლო იმ ახალგაზდებზე, რომელნიც 18—19 წლის ეთხოვებიან წუთისოფელს, ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებს. ცხოვრების გაგრძელება იმასა ჰსურს, ვისაც თავი ბედნიერად მიაჩნია, ვინც დასახულ მიზნის განხორციელებას ემსახურება და ამით მნიშვნელობას აძლევს თვის ისედაც ხანმოკლე ცხოვრებას, რომ იგი ძალით არ შეამოკლოს; მაგრამ რა ჰქნას იმან, ვისაც თავი ცხოვრებიდან გარიყულად მიაჩნია. აბა, ყური დაუგდეთ ეხლანდელი ახალგაზდობის ავადმყოფ სულის კვნესას, რა მწარე და გულის სიღრმემდე ჩამწვდომი კვნესა-გოდება შემოგესმათ აბა, ნაზად, გულმტკივნეულად, მოსიყვარულე ხელით შეეხეთ მის სულს, რამდენი პირდაღებული ჭრილობა იპოვოთ მასში! აბა, გულდასმით და ყურადღებით მოისმინეთ მათი მსჯელობა ცხოვრების შესახებ, თუ მწარე და სულის შემხუთველმა გრძნობებმა არ მოიცვას მთელი თქვენი არსება!

ერთს ქართველ ინტელიგენტ ქალთან მქონდა ლაპარაკი დღევანდელი ახალგაზდობის უიმედობაზე. იგი გაცხარებით მიმტკიცებდა, სიცოცხლეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ისა სჯობია, რაც მალე მოუღებს კაცი ბოლოს თვის არსებობასო:

„მეზიზღება ქალი როგორც დედა, მეზიზღება იგი, როგორც ცოლი. ამბობენ, ქალის წმინდა მოვალეობა დედობააო, სიმართლე გითხრათ, მე აქ ვერავითარ წმინდა მოვალეობას ვერა ვხედავ, პირიქით, მთელის ჩემის არსებით მეზიზღება ქალი-დედა, რომელიც ქვეყნად ამრავლებს ადამიანებს მხოლოდ ტანჯვავაებისათვის".

ამაო იყო ჩემი მტკიცება, თუ რა მაღალი და წმიდა მოვალეობაა ქალისათვის დედის მოწოდება.

— ერთი მიბრძანეთ, მაშ რა მიზანი აქვს თქვენს ცხოვრებას,—მივმართე კითხვით.

— არავითარი; ვცხოვრობ მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემთვის სიცოცხლე მოუნიჭებიათ და მიზანს კი ვერაფერში ვხედავ.

შესცდება ის, ვინც იფიქრებს, რომ ამ აზრისა მხოლოდ ერთი ან ორი იყოს. ხშირად, და, საუბედუროდ, ძალიან ხშირადაც, დღეს ასეთი აზრების მატარებელ ახალგაზდებს ბევრს შეხვდებით. აი რას სწერს ერთი უმაღლეს კურსებზე მოსწავლე ქალი:

> „ვინა ვარ, სად მივდივარ, ან რისთვის ვცოცხლობ? სად არის ის ცეცხლი, რომელიც ყველას ათბობს და თავისკენ იზიდავს? სიცარიელე და სიცივეა გარშემო? არ არის ცეცხლი, არ არის გატაცება, არ არის თავდავიწყება.—არც მუშაობაში და არც გართობაში. არის მხოლოდ ერთი რამ; გულწრფელი სურვილი, არაფერზე იფიქრო, რომ სხვებთან ერთად არ გაიმეორო; სიცოცხლეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო; ღმერთო ჩემო, ჩემი სული მძლავრად ილაშქრებს ასეთი აზრის წინააღმდეგ და უნდა დაამტკიცოს: ეგ შეუძლებელია.... თუკი უწინ სცხოვრებდნენ და მიზანსაც პოულობდნენ, დღეს რაღა მოხდა?... ეხლა 25 წლისა ვარ და მთლად დავძაბუნდი. არც დედა, არც საზოგადო მოღვაწე მე არა ვარ. ვისწავლო? მაგრამ რისთვის? ნუთუ იმისათვის, რომ მხოლოდ ცოდნა შევიძინო? მე ისე არ აღვზდილვარ, რომ მარტო ცოდნის შეძენას ვემსახურო; არა, მე ცოდნას ვუცქეროდი, როგორც საშუალებას და არა როგორც მიზანს. ვალდებული ვარ, რაც მაქვს სხვებსაც გავუზიარო, რომ დავიხსნა ხალხი სიბნელისა და სიღარიბისაგან. დიაღ, ყოველივე ეს კარგად ვიცი, მაგრამ უძლური და მოდუნებული ვარ, სოცილიზმი დღეს ჩემთვის რაღაც მხიბლავი ზღაპარია, თუმცა ზღაპარი იგი 18-19 წლისამ მოვისმინე; ექვსი წლის შემდეგ კი ჩემი სულიდან გარდა არარაობისა, დაღლილობისა და ცხოვრების წინაშე განცვიფრებისა აღარა გამოჰკრთის რა. ვინ ჩამიქრო ლამპარი? ვინ გამიძარცვა ცხოვრება?... ვგონებ, მარტო მე არ უნდა ვიყო ასეთს მდგომარეობაში; როგორც თქვენი წერილიდან შევიტყვე, თითქმის მთელი დღევანდელი ახალგაზდობა ამავე სენითა ყოფილა შეპყრობილი....."[*]

აი, დღევანდელ ახალგაზდობის დაავადებულ სულის გამოძახილი.

განგებ მოვიყვანე სისრულით ეს წერილი, რომ მკითხველთათვის დამენახვებინა, თუ სულით რამდენად დასნეულებულია დღევანდელი ახალგაზდობა. „ვინ ჩამიქრო ლამპარიო"? ეს კითხვა დღევანდელი ახალგაზდო-

---

[*] იხ. „რუსკ. ვედ." № 290 ფელეტონი.

ი საზოგადოება ცხოვრებას არ ჩა- რჩება და განახორციელებს იმ ად საქმეს, რომელსაც შეჰნატრის ელი მშრომელი, განათლებული ცობრიობა.

ამნაირად, პრაქტიკული საქმიანო- და მწარმოებელ ძალთა შემოქ- დების გამოყენება—აი ის ლოზუნ- , რომელიც ჩვენი ხალხის დღევა- ელ ცხოვრებისათვის ყოველ სა- ეზე ურთულესი და უმთავრესია. ურნალი „კოოპერაცია“-ს ერთი რთ მიზნად დაუსახავს სწორედ ამ ქმის სამსახური. იგი ცდილობს სა- ითა და სწავლით დააინტერესოს ხი, განავითაროს შეგნება ჩვენი ის ეკონომიურ პირობებისა, ჩვენი ლხის მწარმოებელ ძალისა შექმნას ბარეზი და ბაზარი მწარმოებელ ძა- ა ნაწარმოებზე. მეტ აღებ-მიცე- ბის გაჩაღება, მეტ სიცოცხლის ა თვით მოქმედების წარმოება—აი ითაა დაინტერესებული ჟურნალი კოოპერაცია“ და როგორც ამ მიზ- ს მატარებელი, კიდევ მეტი, რო- რც ამ საქმის **განმახორციებელი,** ენი მოვალეობაა მის წარმოებას ლი შევუწყოთ.

აქ მხოლოდ გაკვრით შევეხებით მასალას, იმ პრაქტიკულ ნაბი- ებს, რომელიც გადასდგა 1911 წლის ნმავლობაში ხსენებულმა ჟურნა- მა, რომელიც ფრიად საგულისხმოა. ენებულ ჟურნალს ბევრი კარგი არე აქვს, ვიდრე უარყოფითი. უ ჩვენ ამ ჟურნალს შევადარებთ უსეთის ანალოგიურ საგანგებო ურნალს, ჩვენ დიდ ჩამორჩენილო- ს ვერც კი შევამჩნევთ. სიცოცხლე ა აღმაფრენა, იმედი და სასოება ეიძლება „კოოპერაცია“-ში კიდეც ეტი იყოს. მაგრამ იმ მხრივათაც თანადო როლი შეასრულა „კო- პერაცია“-მ, რომ მან ხალხს, ასე უ ისე, დაუახლოვა აზრი კოოპერა- იისა, მისი მნიშვნელობა და ის ამდვილე, რომ ზოგიერთ პირო- ათა უზრუნველყოფით ადვილი და რიად სახეირო საქმეა. კარგ საგან- ებო დარიგებათა აღნუსხვით, იმ ებმის აღიარებით, რომლითაც უნ- ა იარონ კოოპერატორებმა, ჟურ- ალმა „კოოპერაცია“-მ აუცილე- ლად კარგი საქმე გააკეთა. გააცნო აზოგადოებას სხვა და სხვა მეცნი- რ-სპეციალისტების აზრი კოოპერა- იაზე, დაჰბეჭდა სურათები კოოპე- ატულ დაწესებულებათა ზრდა- ნვითარებისა, დაგვიხატა დიდებუ- ნი მოძღვარნი და მომქმედნი კო- პერატიულ საქმისა და ყველა ამით ვენში წარმოშობა და განავითარა ნტუზიაზმი, სიხალისე და საქმის ენარი, მით ჩვენს წინაშე ნამდვილ ურათებით გადაშალა კარგი სი- პტომები, საინტერესო პერსპექტი- ები.

აქ არ ვეხებით იმ დამაბრკოლე- ელ პირობებს, რომელიც ჩვენში ოველ საქმეს წინ ეღობება, მაგრამ ანა ამ პირობების წინააღმდეგ აზ- ითა და საქმით არ უნდა ვიბრძო- ოთ? თვითეული საკოოპერაციო აწესებულება ამ მხრივაც დიდ მნი- ვნელოვანი იქნება, განსაკუთრებით ირველ ხანებში. ამას გარდა წმიდა ეცნიერულ კვლევა-ძიებისათვის სა- ანგებო ჟურნალის არსებობა ჩვენ- თვის ძლიერ საჭიროა. მაშინ, როცა ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ჩვენთვის კიდევ არ არის გარკვეული, როცა ჩვენ უბრალო კონკრეტიული ცნობები არსად მოგვეპოვება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღებ-მიცემობაზე, ეკონომიურ ლტოლვა-მისწრაფებაზე, ჟურნალი „კოოპერაცია“ უბრალო კორესპონდენციებითაც კი საკოოპერაციო და სასესხო დაწესებულებათა ანგარიშებით მართლა საინტერესო „არხივი“ იქნება მეცნიერისათვის.

დიახ, საინტერესო საქმის საინტერესო ჟურნალი საჭიროა ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი გულისყური უნდა მივაქციოთ მისკენ, ჩვენი დახმარებაც ესაჭიროება დღეს ამ ჟურნალს, ვინაიდან ყოველ საქმის მხოლოდ ის ხანაა ძნელი, როცა ფეხს იდგამს, როცა ჯერ არ გაფურჩქვნილა.

ვისურვოთ, რომ საზოგადოების გულისხმიერება და თანაგრძნობა დარუებულიყოს ამ ახალ და ყოვლად საჭირო გაზეთ „კოპერაცია“-საკენ.

**თევდ. ღლონტი.**

# შავი დემონი

...თავს დაჰხარხარებს ყრუ უდაბნოს შავი დემონი,
შავი დემონი ჯოჯოხეთით გადმოხვეწილი,
ისე დაჰქროლავს უგზო-უკვლოდ, ვითა ფოთოლი,
ვითა ფოთოლი შემოდგომის ხეს მოწყვეტილი.
რღვევის ნაპერწკალს დაუშრეტელს, მშფოთვარე გულში...
მშფოთვარე გულში რღვევის გრიგალს თან დაატარებს,
...და სთესავს ყველგან ბოროტების თვალუწვდენ ყანას,
გადამხმარ ჯეჯილს სიკეთისას, თავს დახარხარებს.
დემონი იგი სტიქიაა ჩემი სულისა,
ჩემი სულისა, მას მივანდვე ფარული ზრახვა,
უკვდავთა შორის მას ვაუწყე მხოლოდ გულის თქმა,
მხოლოდ მას ძალუძს ფარულ სულის საუნჯის ნახვა.
იგი უშვრეტი ყოფნის ქინით არის აღსავსე
მის შავ ალამზე აწერია: „მუდმივი რღვევა“,
და გაუხდია შეურყეველ რწმენის სიმბოლოდ,
რწმენის სიმბოლოდ—კაცთა მოდგმის კრულვა და წყევა.
ღრუბელთა ძაძით შემოსილი შავი დემონი,
შავი დემონი ცოდვილ მიწას თავს დახარხარებს.
ის თან წაიღებს სასოებას უცოდველ სულთა,
უცოდველ სულთა სასოებას ქარს მიაბარებს...

**კ. აბაშისპირელი.**

# ბაქოს ქართველობა

ერთხელ, როდესაც „ივერია“ ყოველ-თვიურ ჟურნალად გამოდიოდა, ილია ჭავჭავაძეს უსაყვედურეს:

— რა არის, ილია, რომ „შინაურ მიმოხილვას“ აღარა სწერთ ჟურნალში.

პოეტმა მიუგო შემკითხველს:

— რით ვერ გაიგეთ, რომ ეგ „შინა“ აღარა გვაქვსო. და რაც არ არის, იმაზე წერაც სამძიმოაო.

აი მიზეზი, რომ მეც აქამდის აღარა მოსიწერია-რა ბაქოდან. ეხლაც ვიღებ კალამს და რა გამახსენდება, რომ ისევ და ისევ სკოლასა და თეატრზე უნდა მოგწეროთ, ლამის არის კალამი გამვარდეს ხელიდან. ჩემი ნათქვამი, რასაკვირველია, სკოლისა და თეატრის უარ-ყოფას არ ნიშნავს. ხოლო ისიც მართალია, რომ სულ ერთსა და იმავე საგანზე ცოხნა მოსაწყენია.

გამართლებას ვპოულობ ისევ ილიასებურ „შინას“ უქონლობაში. სადაც „შინა“ ან სრულიად არ არის, ან თუ არის—მდარე და ერთფეროვანია, იქ მისი გამომხატველი მწერლობაც ამა ნაკლულოვანებათა მატარებელია. მაშ გვაპატიეთ.

⁂

**ქართული სკოლა** 23 დეკემბერს გადავიტანეთ ახალს საკუთარს შენობაში, რომელიც პატივცემულმა იაკობ მანსვეტაშვილმა აგვიშენა სავსებით თავისის წვლილითა და საფასურით. თავდაპირველად მანსვეტაშვილს განზრახული ჰქონდა 8,000—10,000 მანათი დაეხარჯა შენობაზე. მაგრამ გარემოებამ და შენობის სისრულემ და კარმიდამოს მოწყობა-მოკოხტავებამ **ხარჯი** გააორკეცა და აიყვანა დაახლოვებით 20,000 მანეთამდე.

სკოლის კურთხევა გვინდოდა იანვრის პირველ რიცხვებში, მაგრამ შენობის სინესტემ და ავეჯეულობით მოუწყობლობამ ეს საქმე გადაგვადებინა სხვა დროისთვის.

თან ზედ სხვა მომეტემულად საზრუნავი საგანი გვედგა წინ: **ქართულ** ტრადიციონულ **საღამოს** გამართვა იანვრის 21-ში. ეს საღამო უმთავრესი წყაროა ჩვენის სკოლის არსებობისათვის და ამიტომ დიდს შრომასა და უნარს ითხოვს მისი რიგიანად მოწყობა. ქართულს საღამოებს ძალიან კარგი სახელი ჰქონდა გაკეთებული ბაქოს საზოგადოების ფართე წრეებში და დიდ დანაკლისს განვიცდით, რომ იგი სახელი დაეცეს.

წელს განზრახულია ეროვნულ საღამოსთვის ტფილისიდან ქალ. **თარხნიშვილისა და ბ. სარაჯიშვილის** მოწვევა. თუ ამ ჩვენმა სასიქადულო არტისტებმა ძალიან ხელ-მიუწდომელი ჯილდო არ მოითხოვეს, უეჭველად მათის მონაწილეობით გავმართავთ საღამოს.

⁂

ბაქოს ქართული თეატრი აქამდის მიგოგავდა, მიიზლაზნებოდა და მუდამ-ჟამ მოგაგონებდათ მომაკვდავს, რომელსაც ზურგზე ეწერა: განუსვენე, უფალო, სადაცა მართალნი განისვენებენ!

დღეს ეს მომაკვდავი წელში გაიმართა, აღსდგა და ლაღად ჰყო:

ვინც შეჰნატრის
ჩემსა სიკვდილს,
უმალ მასვე დავაძინებ!

რა მოხდა ასეთი? რომელი თილისმის ჯოხი უპოვია ბაქოელ ქართულს მელპომენას?—იკითხავთ. აი რა:

ჩვენმა სათეატრო სექციამ განიზრახა თეატრის გადემოკრატება, გაეროვნება, გახალხოსნება. ამისათვის, უპირველესად ყოვლისა, დასწია ფასები. პირველი რიგი სკამებისა ახლა ღირს 1 მ. 50 კაპ., ხოლო უკანასკნელი 5 კაპ.

რეპერტუარი შეადგინა მომეტებულად ისტორიულ პიესებიდან, სადაც იხატება ტანჯვა და სათნოებანი ჩვენთა მამა-პაპათა.

მოაწყდა ხალხი. ტევა აღარ არის. უკანასკნელ წარმოდგენაზე, 27 დეკემბერს, როდესაც დასდგეს „გულჯავარ“ ა. ცაგარლისა, იმდენა საზოგადოება დაესწრო, რაოდენიც არ უნახავს ბაქოს თეატრს დღიდან მისის არსებობისა. აუარებელი ხალხი დაბრუნდა უკან უბილეთობისა გამო.

ეს იყო ხალხი, ნამდვილი ერი, რომელიც ჭეშმარიტად სტკბებოდა მშობლიურ წარმოდგენით, მშობლიურ პიესით და არა მცონარა და გადაგვარებული ინტელიგენცია, რომელიც თეატრში მოდის მხოლოდ „ვალის მოსახდელად“ სამშობლოს წინაშე. აქ მოვალეობა და ესტეტიური სიამოვნება შეესისხლ-ხორცნენ ერთმანეთს, ზავი შეჰკრეს. ეროვნული თეატრი აქამდის თუ მარტო სახელი იყო, ახლა სინამდვილედ იქცა.

ნივთიერი მხარეო?—იკითხავთ.

აქამდის ქართული თეატრი გვაძლევდა მხოლოდ ზარალს, ახლა კი თვითოეულ წარმოდგენიდან 30—40 მანეთი გვრჩება. ამაზეა ნათქვამი: კვიცაც გავხედნე და მამიდაც ვნახეო. უკანასკნელი წარმოდგენა დაამშვენა კონცერტის განყოფილებამ. პატარა ხორომ, ბ. **ჩაგუნავას** მიერ დაარსებულმა, საუცხოვოდ შეასრულა ქართული ეროვნული სიმღერები და ხალხში დიდი აღტაცება გამოიწვია. ბ. ჩაგუნავა ღირსია მისი, რომ ბაქოს ქართველობამ საშუალება მისცეს აქ მუდამ ყოფნისა და ცხოვრებისა და რომ მისის უნარით დაწყობილმა საქმემ (ხორომ) ჩაილულის წყალი არ დალიოს.

**მიხეილ ნასიძე.**

# პეტრე ბრაილოვსკის ხსოვნას

სწორედ ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ტფილისში ერთი არა-ჩვეულებრივი და ღირს-შესანიშნავი დასაფლავება მოხდა.

1910 წელს, დეკემბრის 28-ს მოასვენეს ბაქოდან ტფილისში და მეორე დღეს, დეკემბრის 29-ს, აქ დაასაფლავეს წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის ეზოში ინჟინერ პეტრე ბრაილოვსკის გვამი. საფლავზე ბაქოდან გამოყოლებულმა მუშებმა მეტად გრძნობიერი და მხურვალე სიტყვები წარმოსთქვეს. ამ სიტყვებში ახალგაზდა მუშებმა (ორმა რუსმა და ერთმა სომეხმა) ცხოვლად აღნიშნეს განსვენებულის შესანიშნავი ზნეობრივი ღირსებანი: მტკიცე და შეურყეველი ხასიათი, უმწიკვლო პატიოსნებით სავსე ბუნება, გულახდილი ქცევა, დაუფარავი და უშიშარი მეტყველება ყველასთან და ყოველთვის, მუშასთან თუ დიდ მექარხნესთან, თვით იმ დროსაც კი, როდესაც ბევრი მისი ამხანაგთაგანი იმალებოდა და სდუმდა შიშისაგან ურიათასა.—

მისი მხნე და გულმტკივნეული მზრუნველობა მუშა ხალხისადმი იყო ამ მუშებისათვის ბიბლიოთეკის დაარსება, სკოლის დაარსება, თეატრისა, საუკეთესო სადგომი ბინებისა და სხვა. ერთმა მთხრობელთაგანმა ლმობიერის გულით აღნიშნა ისიც, რომ თვით სიკვდილიც კი ახლად მიცვალებულისა მოხდა იმ დროს, როდესაც განსვენებულმა ნამდვილი მამობრივი მზრუნველობა აღმოუჩინა ერთს დამთვრალ მუშათაგანს: დაინახა იგი ქუჩაში მწოლიარე უპატრონო, მოჰკიდა სწრაფად ხელი, წამოაყენა და მხარში ხელგაყრით მიიყვანა ბინაზე, მიაწვინა ლოგინზე თავისი ხელით და მიაძახა გულმტკივნეულად: ოჰ, ძმობილო, კარგა მძიმე ყოფილხარ“! ეს იყო თურმე პეტრე ბრაილოვსკის უკანასკნელი სიტყვები—სთქვა ეს სიტყვები, დაეცა იქვე უცებ ძირს და განუტევა თავისი პატიოსანი სული...

ნახეთ, როგორ საგულისხმოა ეს ამბავი!

მუშათა სიტყვებმა ყველა დამსწრეზე დიახ ძლიერ იმოქმედა. გულში მომხვდა ეს სიტყვები. რადგან ძველის-ძველი ამხანაგ-მეგობართაგანი ვიყავი განსვენებულისა, როგორც გიმნაზიელობის დროს. ისე სტუდენტობის დროს და ბოლოს თვით იმ დროსაც, როცა ბაქოს ქალაქში დაიბადა ქართველთა პატარა საზოგადოება. ხოლო უეტესი გავლენა იქონიეს ჩემზე იმ სიტყვებმა, რომელი სიტყვებითაც მიჰმართეს დასასრულ მუშებმა მტკივნეულსა და მგლოვიარე ახალგაზდა ქვრივსა. მუშები სთხოვდნენ ახლად დაქვრივებულ დედას, ინუგეშოს თავისი შვილებით, თავისი დედობრივი გული მტკიცედ დაუდოს ამ მამის დამკარგავ პატარა შვილებსა და ისე აღზარდოს იგინი, რომ მათ ჩაინერგოთ გულში ღრმად ის სიპატიოსნე, სიმტკიცე და ის საქები გულის თქმანი, რომლითაც გამსჭვალული იყო პეტრე ვლადიმერის ძე.

ამ სიტყვებმა უნებურად გამახსენა უკვე დიდი ხნის გარდაცვალებული დედა პეტრე ბრაილოვსკისა.

იგი უფრო ადრე დაქვრივდა და უფრო პატარა დარჩა მას განსვენებული პეტრე; ამასთან განსვენებულ პეტრეს დედა დიდ სიღარიბეში დარჩა, გაჭირვებაში ჩავარდა.

განსვენებული ინჟენერი პეტრე ბრაილოვსკის დედა იყო ძველი დროის ქართველი მანდილოსანი. ამ ძველებურ დედის სიყვარულში, ალერსში, წურთვნაში და ერთგულ მზრუნველობაში უნდა მოვძებნოთ სათავე იმ ზნეობრივ ღირსებისა, რითაც იყო პეტრე ბრაილოვსკი ყველას გულის-მიმზიდველი და საყვარულო ადამიანი.

რა ენა იყო ის ენა, რომლითაც სწურთვნიდა, უალერსებდა და პატიოსანს, სადამიანო გრძნობას უნერგავდა გულში პატარა პეტრესა დედა მისი?—ქართული ენა გახლდათ ეს ენა, პატარა პეტრეს გულის მწურთვნელი და გამაფაქიზებელი და ეს ქართული დარჩა პეტრე ბრაილოვსკისათვის სიკვდილამდე მის დედა-ენად. დიახ, პეტრე ბრაილოვსკის დედა არ არიდებდა თავისს შვილს ქართულ ენას და ამ ენამ არც რუსულის შესწავლა დაუშალა განსვენებულს და არც მთელი მისი განათლების მიღება. ქართულად ჰქონდა ხოლმე დედას მიწერ-მოწერა პეტრესთან, როცა ეს უკანასკნელი პეტერბურგში იყო სტუდენტად. ერთი უბრალო შემთხვევა მაგონდება ამ მიწერ-მოწერიდან და ეს შემთხვევა მინდა გავუზიარო პატივცემულს უდროოდ დაქვრივებულს და სხვა მისთანა ეხლანდელი ქართველ დედებს. მგონია, უმნიშვნელო არ უნდა იყოს ეს ამბავი იმისთანა ოჯახისათვის, რა ოჯახიდანაც არის გამოსული განსვენებული პეტრე ბრაილოვსკის პატივცემული ქრივი.

პეტერბურგის საღამო იყო. პეტრესთან სტუმრად ვიყავ და ჩაისა ვსვამდით, სტუდენტურად. ამ დროს დედისაგან წერილი მოუვიდა პეტრეს. გახსნა წერილი, დაჰხედა და უცებ ღმობიერმა ღიმილმა გადაჰკრა სახეზედ:

— „აი, ვანო“—მითხრა მან—„უყურე, როგორ მწერს „დედა-ჩემი“. ამ სიტყვების შემდეგ თითონ წაიკითხა და კიდეც მაჩვენა წერილის დასაწყისი: „ჩემი გულიდან და ჩემი გონებიდან მუდამ ჟამს განუშორებელო, საყვარელო შვილო პეტრე“!.. ამ სიტყვების წაკითხვით პეტრეს ცრემლები მოუვიდა თვალებზე და ჩუმად დაიწყო წერილის კითხვა.

უბრალო არის ეს შემთხვევა, მაგრამ დამახასიათებელია იგი ძველი ქართველი დედისა, ღარიბი ოჯახიდან გამოსულ ქართველი დედისა და ამისთანა დედის ქართული სიტყვების გავლენისა შვილზე.

დიახ, ძველი ქართველი დედა ქართულს არა თაკილობდა შვილთან და მარჯვედ, ხერხიანად ხმარობდა ამ ენას შვილის ზნეობრივ აღზდისათვის. შედეგი ამ ზნეობრივ აღზდისა ვნახეთ პეტრე ბრილოვსკის დასაფლავებაზე... მუშების სიტყვებში.

ეხლა ვიკითხოთ, ეხლანდელი დედა, დაუვიწყარი პეტრეს პატივცემული ქვრივი, ქართველი თავადიშვილის ოჯახიდან გამოსული, როგორღა მოეკიდება ქართულ ენას თავის შვილებთან? საჭიროდ დაინახავს ეს დედაც, რომ ქართული ენა მისი შვილებისათვის დედის ღვიძლ ენად იყოს, თუ არა? ქართული ენა იქნება ამ შვილების ზნეობრივი მსაზრდოებელი, როგორც იყო ეს ენა პეტრესათვის, თუ არა?

ვნახავთ, რასაკვირველია, ნახავს ქვეყანაც...

შენ კი განისვენე მშვიდობით, კეთილო მოღვაწევ, ძვირფასო და დაუვიწყარო პეტრე!

**განსვენებული პეტრეს ძველის-ძველი მეგობართაგანი.**

# მოწერილი ამბები

**დაბა ჭიათურა.** ჭიათურაში ათი ათასი სული იქნება მართლმადიდებელი ქრისტიანი და რაც ჭიათურა არსებობს, უეკლესიოდ არის დარჩენილი. შობის დღესასწაულებში ჭიათურის რკინის გზის სადგურის უფროსმა კულიკოვმა რკინის გზის მოძრავი ტაძარი გამოიწერა მიხაილოვიდან და 26—27 დეკემბერს წირვა-ლოცვა იყო სლავიანურად და ქართველებისთვის ქართულად. ორივე წირვაზე რუსული გუნდი გალობ და იმავე კულიკოვის ლოტბარობით. წირვებზე ურიცხვი საზოგადოება დაესწრო. მწირველი იყო ჭიათურის მღვდელი მამა ბესარიონ ვაშაძე. ქართული წირვის დასასრულს მ. ვაშაძემ სიტყვით მიჰმართა საზოგადოებას და ურჩია, რომ ჭიათურაში ეკლესია ააშენონ.

**ჭიათურელი სტუმარი.**

# სხვა და სხვა ამბავი

— საპარლამენტო წრეებში ხმები დადის, სათათბიროს წევრი როდიჩევი თავის კანდიდატურას ქ. ოდესიდან წამოაყენებს მეოთხე სათათბიროში არჩევნების დროსაო.

— იუწყებიან, ილიოდორეს გაზეთი უსახსრობისა გამო ვერ გამოვაო.

— სირ-დარიის სამხედრო გუბერნატორს აუკრძალავს პოლიციელთათვის ოფიციალურ ქაღალდებში სიტყვების ხმარება: „რუსეთელი ჟიდი“ და „ბუხარელი ჟიდი“.

— კოსტრომის გუბერნიის სოფელ კაბანოვის ეკლესიიდან 6000 მანეთი მოუპარავთ. შეუპყრიათ მედავითნე და მისი ცოლი.

# ჩინეთის რევოლუცია

## დეპეშები.

**ხარბინი.** ხუნხუზთა გასაფანტავად ხულანფუს მოსული ჩინელთა რაზმი ხუნხუზებმა დაამარცხეს. 17 ჯარისკაცი მოუკლეს, 21 დაუჭრეს.

**ხანკოუ.** რესპუბლიკელთა ჯარის ორმა დივიზიამ ქუნბიდან მთავრობის ჯარისაკენ გაილაშქრა. მალე პეკინზე გაილაშქრებს. გუშინ შორიდან ზარბაზნის ხმა ისმოდა. უჩინიდან ჯარი გამოდის. სურსათი იგზავნება.

**მუკდენი.** აღმოსავლეთ მონგოლეთის მთავრები აპირებენ ჩეუნცზიატუნში შეკრებას, რათა ჩრდილოეთის დამოუკიდებლობის თაობაზე თავისი აზრი გამოსთქვან.

---

ის უმრავლესობის სრული დამახა- ათებელია.

ცეცხლს, ყოვლის აღმგზნებელს და გამათბობელს, ველარა ჰხედავს გი თვის გარეშემო.

კითხველს ეხსომება, ამას წინად ეტერბურგის უნივერსიტეტის საქი- ლაბორატორიაში ორი სტუ- დენტის, ბიძაშვილების, ცვეტკოვისა და მირონოვის მიერ თავის მოკვლა; ცვეტკოვის ცოლმა ეს უბედურება ვერ აიტანა და თვითონაც ბოლო მოუღო მოშხამულ სიცოცხლეს. გაზეთები ამ შემთხვევას ნივთიერი ხელ-მოკლეობითა ჰხსნიდნენ. მაგრამ განსვენებულის ამხანაგები არ დასთანხმდებიან ამ მოსაზრებას და აი, რასა სწერენ:

„დღეს მიწას მიაბარებენ ჩვენი ძვირფასი ამხანაგების გვამებს და ჩვენ, მათი მახლობელი ამხანაგები, ვალდებულადა ვთვლით ჩვენს თავს, პროტესტი განვაცხადოთ სამი ადამიანის სიკვდილის მეტად გამარტივებულ ახსნის წინააღმდეგ. ყველა გაზეთებში ხელმოკლეობა იყო თავის მოკვლის მიზეზად აღიარებული, ჩვენი ამხანაგების წმინდა ხსოვნის სახელისათვის ვაცხადებთ, რომ იგინი საკმარისად ძლიერნი იყვნენ სულითაც და ფიზიკურადაც, რომ დამოუკიდებლად გაეკაფათ ცხოვრების გზა და მამაცურად შებრძოლებოდნენ ცხოვრების უკუღმართ მოვლენებს. ერთ მათგანის მამის წერილი დაამტკიცებს ჩვენს აზრს... მიზეზი თვით მკვლელობისა უფრო ღრმაა და საზოგადოებამ მოწყალების გამოღებით არ უნდა გასცეს პასუხი. იყო დრო, როდესაც ჩვენ ცხოვრების ბრწყინვალე ტაძრიდან შინ, ოჯახში, ანთებულის ლამპარით ვბრუნდებოდით. ცხოვრება გვაძლევდა არსებობის უფლებასა და აზრს. ჩვენმა გარდაცვალებულმა ამხანაგებმაც იპოვნეს თავისი ადგილი. და თუ სამმა სანაქებო ახალგაზდამ მოიპარაფა წუთი-სოფელი, ნუ ვინ იფიქრებს, ვითომც ნივთიერმა ხელმოკლეობამ აიძულა იგინი... დაე, საზოგადოება უფრო ღრმად ჩაუკვირდეს მომხდარ ამბავს და იგი იპოვის თვის სინიდისში დანაშაულს უფრო მძიმეს, ვიდრე ნივთიერი შევიწროებისაგან გამოწვეულ ახალგაზდათა თავის მოკვლა.*)

თუ ლაფარგი, სულიერად და ხორციელად ჯანსაღი, მხოლოდ მოხუცების შიშით ისპობს ცხოვრებას, ეს სამი ახალგაზდა სულ სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, როგორც სჩანს, სიცოცხლის ხელოვნურად შეწყვეტაში. საზოგადოებამ კი მათი სიკვდილი ძლიერ მარტივად ახსნა: ყველაფერი ნივთიერ ხელმოკლეობას მიაწერა და ცვეტკოვების ბინას, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კარეტებისა და ავტომობილების მთელი გროვა მიაწყდა.

მაგრამ მიზეზი უფრო ღრმა და რთულია, ვიდრე ბევრს ჰგონია; საქმე ის გახლავთ, რომ ახალგაზდობა სულით დაავადდა, მან თითქოს დაჰკარგა ცხოვრების აზრი და მნიშვნელობა და ამ სენთან საბრძოლველად საჭიროა არა მოწყალების გაცემა, არამედ შეგნება და გათვალისწინება საქმის მდგომარეობისა, საჭიროა ახალგაზდობის სულის კვეთების გაცნდა, მისი დაავადებული სულის ჭრილობების დახელოვნებულ დოსტაქრის ნესტარით შეხება. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ნამდვილი, უტყუარი და სწორი დიაგნოზის დასმა და მისდა მიხედვით საშუალებათა მიღება, დიახ, ვისაც დღევანდელ ახალგაზდობის სულისკვეთებაზე ჰსურს იქონიოს ნათელი წარმოდგენა ყური უნდა უგდოს მის გულის სიღრმედან ამოხეთქილ კვნესას, უნდა განიმსჭვალოს იმ ავადმყოფობით, რომლითაც იგია ავად, ერთი სიტყვით, უნდა განიცადოს მის სულიერი ვითარება და მხოლოდ შემდეგ იკისროს ექიმის მოვალეობა. საუბედუროდ, ბევრი ასე არ იქცევა, ზერელედ გაეცნობა ახალგაზდობის სულის კვეთებას და უკვე თვის რეცეპტებს იძლევა.

რა არის მიზეზი იმისი, რომ ახალგაზდობა ასეთმა უიმედობამ მოიცვა?

ბევრი რამ და განსაკუთრებით კი ის გარემოება, რომ განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს მის გულში გაღვიძებული იმედი უდროოდ დაიმსხვრა, ის რომ მის სულში გაღვიძებულმა შემოქმედებითმა მუშაობამ ფრთები ვერ გაშალა და უდღეოდ ჩასკდა...

ახალგაზდობა გაიტაცა ქვეყნისა და ხალხის სამსახურმა, მაგრამ სინამდვილის მსახვრელმა ხელმა ულმობელად მილეწ-მოლეწა ყოველივე, ჩაიფერფლა და შეიგინა გულწრფელი მისწრაფებანი, დადუმდა ენა, მიყუჩდა საზოგადოებრივი ცხოვრების აჩქარებული მაჯის ცემა და მწარე სინამდვილემ მაგრად ჩაუკაკუნა თავში ოცნების სამეფოში შეტოპილ ახალგაზდობას.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა უმაღლეს კურსებზე მოსწავლე ქალის წერილში გამოთქმული კითხვა „ვინ ჩამიქრო ცხოვრების ლამპარი“?

დღეს ჩვენს თვალ წინ გაცხარებული, ინტენსიური მუშაობა სწარმოებს ახალგაზდობაში და თუ იგი დღეს სასოწარკვეთას და უილაჯობის ძლიერ ტალღას წარუტაცნია,—ჩემის აზრით, შორს არ უნდა იყვეს ის დღე, როდესაც კვლავინდებურად ფრთებს გაშლის მისი აღმაფრენა და ცხოვრების ძლიერი ტალღა კვლავად შეუერთებს მას იმ სათავეს, საიდანაც იწყება ბედნიერება და წინსვლა.

თუ დღევანდელი ახალგაზდობა სასომიხდილი და შინაგანი ბრძოლით მოქანცულია და ხშირად თავის მოკვლით იმოკლებს სიცოცხლეს, ვისაც კიდევ შერჩენია სიცოცხლის ცხოველმყოფელი სხივები, ვის ძარღვებში კვლავად სჩქეფს ცხოვრებისადმი სიყვარული და რწმენა, მათი მოვალეობაა არა ზურგის შექცევა ასეთი ახალგაზდობისადმი, არამედ მათი სულიერი ავადმყოფობის განკურნების სურვილით განმსჭვალვა და მათი გამრთელების წრფელი და უანგარო წყურვილით აღჭურვა.

ვინ იცის, იქნება საჭიროც იყო დღევანდელ ახალგაზდობისათვის უიმედობისა და ტანჯვის ნაკადში განბანვა, რათა სულიერი ცხოვრებისათვის მეტი სიძლიერე და სიცხოველე მიენიჭებინა. შეიძლება ბევრი გახდეს მსხვერპლი ამ უიმედობისა, მაგრამ ვინც გადარჩება, გრდემლივით მაგარი სულიერი სახის მატარებელი გახდება და ცხოვრების ქარიშხალი ძლიერს მეტოქეს იპოვის მასში.

**ალ. წერეთელი.**

**პეკინი.** ზავის ვადა ორის კვირით კიდევ გააგრძელეს. ამბობენ, მეფე ჩქარა ტახტიდან გადადგებაო.

**კულჯა.** დაოტაიმ რევოლუციონერების მხარეს გადასვლა არ მოისურვა და სამსახურს თავი დაანება.

**ხარბინი.** ქაილარელმა შეიარაღებულმა მონგოლებმა ძველი ქაილარი აიღეს და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს. ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებმა რუსების სოფელს შეაფარეს თავი. მონგოლებმა ახალი მთავრობა დაარსეს.

### ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მანიფესტი.

ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ექიმმა სუნიათსენმა მთელის ქვეყნის ერებს შემდეგი მანიფესტი გაუგზავნა:

— მოკითხვა ყველა მეომარ ერსა!

ჩინეთის სულიერი ზნეობრივი წინსვლა დღევანდლამდე დაჩაგრული იყო. ყოველივე თავისებურობას და ეროვნულ მისწრაფებას უწყალოდ სდევნიდნენ. რევოლიუციამ მოინდომა საქმის წაღმა დატრიალება. ჩვენა გვსურს დესპოტ მანჯურთა დინასტიის გადაყენება და რესპუბლიკის დაარსება. ჩინეთის მონარქიის რესპუბლიკად შეცვლა უნიადაგო გატაცებად ნუ გეჩვენებათ, არა, იგი ჩინეთის ხალხის დიდი ხნის სურვილია, მისი მისწრაფება პროგრესისა, ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ. უკვე 267 წელიწადია მანჯურთა მჩაგვრელობას ვითმენთ. მოვალენი ვართ, ეხლა მაინც განვთავისუფლდეთ იარაღის საშუალებით და ჩვენი ჩამომავლობა მაინც ვიხსნათ მონობისაგან. პირველად მოხდა ისე, რომ ჩინეთში მონობამ ადგილი დაუთმო თავისუფლებასა. მანჯურთა პოლიტიკა კარჩაკეტილობისა და ტირანიის პოლიტიკა იყო, ჩვენ კი მთელის ქვეყნიერების თავისუფალ ერებს მივმართავთ.

დიდ ხანს ვჩაგრავდნენ და გვაწამებდნენ მანჯურნი ჩინელებს. ისინი ხელს უწყობდნენ მექრთამეობას, ბატიმართ აწამებდნენ და ყოველ-გვარ თანამდებობას საჯაროდ ჰყიდნენ.

ეხლა კი საქმეს გამობრუნება ეჭირვება. ჩინეთი სხვა ერთა ოჯახს მიჰმართავს.

ხანგრძლივისა და თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ მთავრობა დავაარსეთ ჩვენის სურვილისა და ზრახვათა გასაგებად. მთელის ქვეყნის საგულისხმოდ ვაცხადებთ:

მანჯურთა მიერ რევოლუციამდე დადებული ხელშეკრულებანი ჩვენთვისაც სავალდებულოა. მხოლოდ ხელშეკრულებას არ ვიკისრებთ, რომელიც მეფის გვარეულობამ რევოლუციის დროს დასდო და შეიმუშავა. ასევე მოვიქცევით კონცესიისდა სესხის აღების საქმეშიაც.

ახალი მთავრობა უზრუნველჰყოფს უცხოელთა სიცოცხლესა და საცხოვრებელს. ყველაფერს ვიღონებთ მშვიდობიანობის დასამყარებლად.

მანჯურლებს ისეთივე უფლება ექნებათ, რანაირიც ჩინელებს.

კულტუროსან ერთა ოჯახში შევდივართ არა რაიმე გამორჩენისათვის, არამედ სურვილი გვაქვს მსოფლიოს საკულტურო სალაროში ჩვენი წვლილიც შევიტანოთ.

## არეულობა სპარსეთში

### დეპეშები.

**ჯულფა.** მსროლელთა მეშვიდე პოლკის ბატალიონს, რომელიც საომარის წესით ქოიდან ურმიას მიდიოდა, სალმასთან ქურთები დაეცნენ. ოცი ქურთი მოჰკლეს.

### გაზეთებიდან.

#### ალი-ღული-ხანი.

პეტერბურგში მყოფი სპარსეთის წარმომადგენელი ალი-ღული-ხანი „ბირჟ. ვედომ.“ თანამშრომელს ებაასა და განუცხადა: თავრიზში ახლახან ჩამოხრჩობილი მოლა სეღათალ-ისლამი უბრალო მოლა კი არ იყო, არამედ მუშტეიდი და ხალხზედაც დიდი გავლენა ჰქონდა. გადაჭრით ვაცხადებ: ჩამოხრჩობილი სეღათ-ალი-ისლამი რუსეთის წინააღმდეგ არ მოქმედებდა. დარწმუნებული ვარ და ნამდვილადაც ვიცი, რომ იგი რაზმებს ადგენდა და გაცხარებულ ბრძოლისთვის ემზადებოდა, მაგრამ არა რუსებთან, არამედ თავრიზზე მომდგარ სუჯა-უდდოულესთან. პეტერბურგის გაზეთები სწერენ, სეღათ-ალი-ისლამს, რომ დაიჭირეს, თეირნის მთავრობის დეპეშა უპოვნეს, რითაც იგი სთხოვდა, არეულობას თავი დაანებეთო. დეპეშა ვერაფერს ამტკიცებს, რადგან იგი მაშინ მიუვიდა, როცა ყველა მემოიფანტა და ზოგი რეშტში შეიხიზნა. და განა საკვირველია, თუ თეირნის მთავრობამ ამისთანა გაჭირვებაში დახმარება სთხოვა თავრიზში ყველაზე განთქმულ და გავლენიანს პირსაო. ასე დაუმთავრებია სიტყვა ალი-ღული-ხანს.

#### რუსეთი და ძველი შაჰი.

რუსეთის სამინისტროში უთქვამთ: ჩვენ ძველ შაჰს შაჰად არა ვცნობთ, თუ იგი ეხლა დაიჭერს ტახტსა, მაგრამ თუ არეულობის შემდეგ კანონიერის გზით ავიდა ტახტზე, მაშინ რაღა გვეთქმისო“.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარედ.

2 იანვარი.

**პარიზი.** სამინისტროს დეკლარაცია საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულების დამტკიცებას მოითხოვს და აღნიშნავს, ესპანიასაც ჩქარა მოვურიგდებითო.

სენატის იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელმაც საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება უნდა განიხილოს, აირჩიეს რიბო, მომხსენებლად —პიერ ბოდენი. კომისიამ მოისმინა პუანკარესი და ლებრენის განცხადება.

**მადრიდი.** კანალეხასის სამინისტრო გადადგა, რადგან ბარცელონელები გაფიცვით იმუქრებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ სიკვდილით დასასჯელ მეამბოხეს არ აპატიებთო.

მეფემ აპატია სასჯელი კულერის საქმის გამო სამართალში მიცემულს, რომელიც დღეს უნდა ჩამოეხრჩოთ. პატიებამ ხალხზე კარგი გავლენა იქონია და ყველა დააკმაყოფილა. გუშინ მეფემ კანალეხასი მოიწვია და ნდობა გამოუცხადა. ამბობენ, პატიება კანალეხასის საქმეაო. კანალეხასმა განუცხადა მეფეს, მოვიფიქრებო. კანალეხასმა სამინისტრო შეადგინა, რომელშიაც ისევ ძველი მინისტრები მოიწვია.

**სტამბოლი.** გასული წელი ოსმალეთისთვის საუბედურო იყო და ეხლაც იგი ცუდ მდგომარეობაშია. პარლამენტში უთანხმოებაა და მტკიცე უმრავლესობის შექმნა შეუძლებელია. პალატა მხოლოდ პირადს კინკლაობას უნდება და ერთი კანონიც არ განუხილავს, ხარჯთაღრიცხვაც კი არ დაუმტკიცებია. ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტისა და ოპოზიციის უთანხმოება ბრძოლად გადაიქცა. ოპოზიციონერებსაც რომ ხელში ჩაუვარდეს მმართველობა, ესაც კი ვერას უშველის. ერთის სიტყვით, ოსმალეთი დიდ გასაჭირშია.

მთავრობის შუამდგომლობით ხონთქარმა სენატს აცნობა, პალატის დათხოვნა აუცილებლად საჭიროა და სამის თვის შემდეგ ახალს მოვიწვევთო. ხონთქარი იმედს გამოსთქვამს, რომ ამ საკითხში სენატიც დამეთანხმებაო. ხონთქრის წერილს საიდუმლო სხდომაზე განიხილავენ.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. პოლონიმ ფუესის სიტყვის თაობაზე ილაპარაკა და, სხვათა შორის, სთქვა: უნგრელი თავის დღეში ვერ დასთანხმდება იტალიასთან ომის ატეხას და დამოუკიდებელთა პარტიის წევრნი ამისთანა ომისათვის ფულს ვერავის მისცემენო. იუსტას პარტიის წევრმა ბატიანმა სთქვა: ცოტა სახიფათოა იტალიის საქციელი, რადგან იგი ავსტრიის საზღვარს ძალიან ამაგრებსო და შევატყობინოთ იტალიას ამ საქმეს ყურადღება მიაქციოსო.

**ლოურენსი.** (მასაჩუსეტსის შტატი). ფართლეულობის ყველა სამრეწველოს მუშები გაიფიცნენ. გაფიცულებსა და პოლიციელთ შეტაკება მოუვიდათ.

**ბერლინი.** პრუსიის ლანდტაგის სხდომები დაიწყო. ლანდტაგის პრეზიდენტად ამოირჩიეს კონსერვატორი—ბარონი ერფა, ვიცე-პრეზიდენტად—ცენტრის პარტიისა—კრაუზე, მემამულეთა პალატის პრეზიდენტად—ვედელპისდორფი.

**პრაგა.** ჩეხელმა სლავისტებმა გამოსცეს წიგნი: „სლავიანები“. სლავიანთა ლიტერატურაში ეს პირველი ნაწერია, სადაც სლავიანთა წარსული და აწმყოა აწერილი.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, გათავდა ფინანსისტთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც სპარსეთის რკინის გზის თაობაზე იყო შეკრებილი. გადასწყვიტეს გზის გეგმის შედგენა. ქონებრივი მხარე რუსთა, ფრანგთა და ინგლისელთა ბანკებმა მოაგვარეს.

### რ უ ს ე თ ი

#### პეტერბურგი.

#### მოგებიან ბილეთების ტირაჟი

**ორასი ათასი მანეთი მოიგო**—სერია 13,798, ნომერი 28.

**75 ათასი მანეთი** 9401/22.

**ორმოცი ათასი**—5295/24.

**ოცდა ხუთი ათასი**—18904/50;

**ათი ათასი**—8954/41; 406/49; 1752/36;

**რვა ათასი**—2536/33; 9734/39; 8323/21; 11106/43; 12871/49;

**ხუთი ათასი**—5914/14; 13225/38; 18500/34; 10168/37, 6575/42; 13851/30; 1628/5; 15668/25.

**ათასი მანეთი** — 4323/41; 15132/30; 5562/39; 9268/43; 14634/6; 11545/9; 6564/35; 7491/5; 17075/30; 16288/37; 1232/38; 18408/8; 4598/43; 11772/46; 13393/2; 8143/2; 4520/22; 7138/33; 2294/26; 18649/39.

**სარატოვი.** საოლქო სასამართლომ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით გაარჩია 19 ოქტომბერს 1905 წელს ქალ. სარატოვში ებრაელების აწიოკების საქმე. ექვს 8 თვის ციხე და უფლებების ჩამორთმევა მიუსაჯა, ერთს—ერთი თვის ციხე, ორი გაამართლა.

**პეტერბურგი** (ოფიციალური). ცნობათა შემკრები ბიურო იუწყება: ვალაამის მონასტრის კუნძულ სოსნოვეცზე აგვისტოში ფინლანდიელების მიერ სამლოცველოს დარბევის შესახებ ფინლიანდიის გუბერნატორი შემდეგ ცნობებს იძლევა: სექტემბერში ვიბორგის გუბერნატორმა მოახსენა კუნძულზე მომხდარ უწესოების ამბავი. გუბერნატორის მოხსენებით ამ საქმეში მონაწილეობა მიუღიათ ადგილობრივ გლეხებს. გლეხები უარს ამბობენ, ჩვენ არავითარი უწესოება არ ჩაგვიდენია, ხოლო 1910 წლის ზაფხულიდან 1911 წლის 4 სექტემბრამდის სამლოცველოში ღამეს ვათევდითო. მათვე დაასახელეს ერთი გლეხი, რომელსაც 1911 წელს ზაფხულში სამლოცველოს ერთი ფანჯარა ქვით ჩაუმტვრევია. პოლიციამ თვისი წინასწარი გამოძიება გერადის სასამართლოს გადასცა. გენერალ-გუბერნატორს გუბერნატორისათვის მიუწერია, საზოგადო ბრალმდებელს წინადადება მიეცით, დამნაშავეთა დასასჯელად სასტიკი ზომები მოითხოვონო; ამასთანავე ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორს სენატის წინადადება მიუცია, საქმის წარმოება საჩქაროდ დაასრულეთ და დამნაშავენი სასტიკად დასაჯეთო. ვიბორგის გუბერნატორის მოხსენებით, პოლიციას კიდევ რამდენიმე საბუთი აღმოუჩენია გლეხების მიერ სამლოცველოს შებღალვისა:

**ნოვოჩერკასკი.** პატიმარი, სიკვდილ-მისჯილი, ზედამხედველს მივარდა და არჩობდა. ზედამხედველმა პატიმარი მოჰკლა.

**მოსკოვი.** ქალაქის გამგეობა პარიზის წარმომადგენლებს მოსკოვის სახელით ძვირფას საჩუქარს მიართმევს.

სახალხო უნივერსიტეტების გამგეობაში აირჩიეს პროფესორი კოვალევსკი, შერვინსკი და სხვანი.

## რუსეთი

**სენატი და იალტის მთავარმართებელი გენერალი დუმბაძე.** როგორც მკითხველებმა უკვე იციან, სენატმა 17 დეკემბერს უარი უთხრა თავისუფალ მხატვარ აბაკუმოვს, რომელიც გენერალ დუმბაძეს ზარალს უჩიოდა ებრაელ-მუსიკოსების იალტიდან უკანონოდ გაძევების გამო. საყურადღებოა ამ საქმის მსვლელობა სენატში.

აბაკუმოვს სენატში თხოვნა ორცალად წარუდგენია, რათა ერთი გენერალ დუმბაძისთვის გაეგზავნათ პასუხის მოსაცემად. სენატს დუმბაძისათვის თხოვნის ასლი გაუგზავნია. დუმბაძეს სენატისადმი პასუხში განუცხადებია, რომ ებრაელების გაძევებაში ის, როგორც მთავარმართებელი, განსაკუთრებულ დაცვის წესებით ხელმძღვანელობდა. ამასთანავე მიუხედავად კანონისა, დუმბაძეს სენატისათვის არც საგერბო გადასახადი და არც თავის განმარტების ასლი არ წარუდგენია. ამის გამო სენატმა განმარტება უკან დაუბრუნა დუმბაძეს. თვის ახალ განმარტებაში დუმბაძე სწერდა: „საგერბო გადასახადის ფული არა მაქვს და არავისაგან არ მიმიღია; ჩემი საკუთარი ფულის მიცემა კი სრულიადაც არა მსურს. ფული იმან გადაიხადოს, ვინც ვიღაცა ებრაელებზე საქმე დაიწყო. სენატსა ვთხოვ, ნუ მაწუხებს რაღაც გადასახადებისა და ასლების უკანონო მოთხოვნით“.

სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ეს განმარტება პირველ დეპარტამენტის ობერ-პროკურორს გადასცა, რათა სენატისადმი ასეთ უმართებულო ღირსების შემლახველ მოპყრობის გამო დუმბაძე პასუხისგებაში მიეცათ. ობერ პროკურორმა მასში შეურაცმყოფელი ვერა ნახა რა და თვისი დასკვნა წარუდგინა პირველ დეპარტამენტის თავმჯდომარეს.

ერთს სენატორს დუმბაძის მაგიერ გადაუღია პირი და საგერბო გადასახადიც წარუდგენია სენატისათვის და საქმეც ამით დასრულებულა.

### არაბული არაკები სამთა კავშირისა*).

(წერილი რედაქციის მიმართ).

მთელი წერილი „გუთნის“ შემადგენელთა, დაბეჭდილი „სახალხო გაზეთში“, სავსეა არაბულ არაკებითა. ერთის ამ არაკთაგანის „სიმართლე“ ბ-ნმა ლუარსაბ ბოცვაძემ მესამე დღესვე ცხად ჰყო ყველა მკითხველისათვის. უარესი დღე დააყენა ამ არაკს „სახალხო გაზეთშივე“ ბ-ნმა ნიკო ლომაურმა. შემდეგი სტრიქონები მკითხველს დაარწმუნებენ, რომ სხვა არაკებიც ჩვენის პედაგოგებისა უფრო კიდევ მეტად ღალატობენ სიმართლესა.

დავიწყოთ „ბუნების კარის“ შესახებ შეთხზულ არაკითა... ყველა მოსწრებულს მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ „ბუნების კარში“ იმავ თავიდან წიგნის მესამედი ეჭირა საქართველოს გეოგრაფიას და საქართველოს ისტორიას. ეს ორი განყოფილება ეკალივით ერჭობოდათ თვალში ულტრა - ბიუროკრატებს; მაგრამ ვერას ჰხდებოდნენ, რადგანაც წიგნი მოწონებული იყო პეტერბურგში განათლების სამინისტროს მიერ, თანახმად აღმოსავლეთის ფაკულტეტის მოხსენებისა, „როგორც მშვენიერი სახელმძღვანელო“. 1905 წელს, გაცხარებულის მოძრაობის დროს, მე განვიზრახე, „ბუნების კარი“ ორ წიგნად გადამექცია. პირველს წიგნში უნდა მოთავსებულიყო ყველა განყოფილება, გარდა საქართველოს გეოგრაფიისა დ ისტორიისა, ხოლო მეორე წიგნში ისტორიული და გეოგრაფიული განყოფილებანი, ერთი სამად შევსებულნი, უხვად დასურათებულნი, გეოგრაფიული და ისტორიული ქრისტომატიის მასალის დამატებით. და ამ წიგნისათვის უნდა დამერქვა ცალკე სახელი „დედა-ქვეყანა“. ეს ცვლილება და სახელწოდება აღვნიშნე იმავე წლის „ბუნების კარის“ წინასიტყვაობის ბოლოში.

თანახმად ამ გეგმისა, მე 1905 წელს „ბუნების კარიდან“ გამოვტოვე გეოგრაფია და ისტორია საქართველოსი, წიგნს ფასი დავაკელი და ისე გამოვეცი. ამავე დროს „დედა-ქვეყნის“ თავდარიგს შევუდექი. მაგრამ ჩქარა საშინელმა რეაქციამ იჩინა თავი და ჩვენი იმედები მეწყერს მისცა. მთავრობამ არამც თუ არ გააფართოვა სახალხო განათლების პროგრამა, არამედ არ დაამტკიცა სამოსწავლო გეგმა ალექსი ბესარიონის ძის ქიქინაძის თავმჯდომარეობით შემუშავებული და მკვდრეთით აღადგინა მზრუნველ იანოვსკის პლანი, რომელიც ითხოვდა, ესწავლებინათ სახალხო სკოლაში მხოლოდ ოთხი შემდეგი საგანი, ისიც მეტად ვიწრო ფარგალში: საღმრთო რჯული, ქართული და რუსული ენა და არითმეტიკა. ამ სახით, საქმე ისე დატრიალდა, რომ ჩემს „დედა-ქვეყანას“, ცალკე წიგნად გამოცემულს, არც მოიწონებდნენ და არც შეუშვებდნენ სკოლებში. და რადგანაც „ბუნების კარშიც“ აღარ იქნებოდა საქართველოს გეოგრაფია და ისტორია, სასკოლო სფეროდან ეს ორივე საგანი გაჰქრებოდა, და მამულიშვილობის ჰაჰანებაც აღარ იქნებოდა. აი ამ გარემოებამ იძულებული გამხადა ხელ-ახლად შემეტანა „ბუნების კარში“ გეოგრაფიული და ისტორიული განყოფილებანი ჯეროვანი ცვლილებით.

ჩვენი მეარაკეები კი სცდილობენ დაარწმუნონ მკითხველი, ვითომც მე „ბუნების კარში“ აღმედგინოს გეოგრაფიული და ისტორიული ნაწილი საკონკურენციო მოსაზრებით, ესე იგი იმ განზრახვით და მიზნით, რომ უპირატესობა მიმეცა „ბუნების კარისათვის“ „გუთნის“ წინაშე, რომელშიაც ჰაჰანება არ იყო და არც ეხლა არის საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიისა. ვსთქვათ, რომ ეს მართალია. რა არის აქ დასაძრახისი? თუ მე ვიფიქრე: რადგანაც ერთს ქართულს სახელმძღვანელოში ჩვენის სამშობლოს შესახებ არაფერია, მეორეში მაინც იყოს, თორემ საქართველო ქართულს სკოლებში სრულიად დავიწყებული იქნება მეთქი. ნუ თუ ეს ცუდ რამედ უნდა ჩაითვალოს? ეს ხომ კეთილშობილური კონკურენცია იქნებოდა და სხვა არაფერი. მაგრამ აქ საკონკურენციო მოსაზრებას არამც თუ ადგილი არა ჰქონდა, ვერც ექნებოდა, რადგანაც მე გეოგრაფია და ისტორია საქართველოსი „ბუნების კარში“ უფრო ადრე აღვადგინე, ვიდრე „გუთანი“ დაიბადებოდა.

სამთა კავშირი ბრძანებს: მართალია, ჩვენს სახელმძღვანელოში სამშობლოს გეოგრაფია და ისტორია დავიწყებულია სრულიად, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენმა გიმნაზიის ერთმა მასწავლებელმა საქართველოს ისტორია გამოსცა ცალკე წიგნად და მეორეც გეოგრაფიას ადგენსო. ქება და დიდება ამ მასწავლებლებს. მაგრამ „გუთნის“ დეფექტს ეს ახალი გამოცემანი სახალხო სკოლას ეფექტად ვერ გადაუქცევენ და სამშობლოს დავიწყებას წინ ვერ აღუდგებიან. და აი რა მიზეზის გამო. სახალხო სკოლის გეგმაში არ შედის საქართველოს გეოგრაფია და ისტორია და ამიტომ მათი სწავლება, როგორც ცალკე საგნებისა, შეუძლებელია და ნებას არავინ არ მისცემს. თუნდაც რომ მასწავლებელმა სძლიოს დაბრკოლებანი, ორის ახალის სახელმძღვანელოს შეძენა ჩვენს ღარიბს ხალხს მძიმე ტვირთად დააწვება კისერზე. ყველა ეს დაბრკოლება ჰქრება, როცა თვით ქართული ენის სახელმძღვანელოში ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი სამშობლოს გეოგრაფიასა და ისტორიასა. ამ შემთხვევაში ეს ორივე უსაჭიროესი საგანი, ჩამთესელი მამულიშვილობისა, ორგანიულ ნაწილად ჰხდება სკოლისა, და ჰხდის მას ნაყოფიერ დაწესებულებად. ეს ისეთი ცხადი სიმართლეა, რომ მის წინააღმდეგ კრინტს მხოლოდ ის დასძრავს, ვინც სრულიად ჩახედული არ არის ჩვენის სახალხო სკოლის მდგომარეობაში, ან ვისაც საზოგადოების თვალის ამბით თავი უნდა იმართლოს საარსო დეფექტებში...

სხვა არაკებიც სამთა კავშირისა ამდენადვე ღალატობენ სიმართლესა, —და მათ გაცრუებაში დროს არ დავკარგავ. ვიტყვი მხოლოდ ერთსაც. „გუთნის“ შემადგენელნი სრულიად უსაფუძვლოდ და ტყუილად მემდურებიან. დასწრებისას რომ იტყვიან, სწორედ ის არის. სამდურავი და ფრიად საფუძვლიანიც მე მაქვს. გამოსცეს თუ არა თავისი „გუთანი“, მაშინვე ექსორია უყვეს თავს გიმნაზიიდან „ბუნების კარსა“, გამოდევნეს ყველა განყოფილებიდან და კლასიდან და თითქმის აკრძალულ ხილად გახადეს. მე რაღა დავუშავე? „დავუშავე“ ის, რომ მას უკან, რაც მათ „გუთანი“ გამოსცეს, მათს განცხადებას თავისი სახელმძღვანელოს შესახებ მე, უთხოვნელად, ვბეჭდავდი და ვბეჭდავ „ბუნების კარის“ ყდაზე, სხვა? სხვა არაფერი. კრინტიც არ დამიძრავს, ნახევარ ნაბიჯიც არ გადამიდგამს მათის სახელმძღვანელოს წინააღმდეგ. ‧დიდ სამდურავს კი მიცხადებენ პირიქით. გაგონილა ასეთი სიმკაცრე უსამართლობა?

**იაკობ გოგებაშვილი.**

*) ვსპობთ ამ საგანზე კამათს ჩვენს გაზეთში. რედაქცია.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** 2 იანვარს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ გ. ერისთავის დაბადებიდან ასი წლის აღსანიშნავად გაიმართა წარმოდგენა. დადგმული იქმნა „სამზადისი“, სცენები პ. უმიკაშვილისა და „მეგობრობა“ ნ. შიუკაშვილისა. გიორგი ერისთავის დაბადების დღის აღსანიშნავად ურიგო არ იქნებოდა დრამატიული საზოგადოება ცოტა მომზადებულიყო. გიორგი ერისთავი ისეთი პიროვნება იყო, იმდენი სამსახური გაუწია ქართულ სცენას, რომ დრამატიული საზოგადოება განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა ეპყროდეს მის ხსოვნას. იუბილეებსა და მსგავს დღესასწაულებს არ მოვითხოვთ, მაგრამ ცოტა შინაარსიან და მომენტის შესაფერ წარმოდგენის გამართვა კი აუცილებელი იყო.

„სამზადისის“ შემდეგ, რომელმაც საკმაოდ ცოცხლად ჩაიარა, წარმოდგენილ იქმნა ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“. ხალხი ამ პიესას სხვა დროს, როგორც ყოველს ახალს ორიგინალურს პიესას, ნაკლებად ესწრებოდა, ამ დღეს კი ხალხი ბლომად იყო. ბ-ნმა გუნიამ (არჩილ ლომაური) თავიდანვე დაბალი ტონი აიღო, ისე რომ პირველ რიგშიაც სუსტად ისმოდა მისი ხმა. მხოლოდ უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც ხორციელად და სულიერად გატეხილი არჩილი ოჯახს უბრუნდება, მისი ხმა ნაზად და ტკბილად ისმოდა. საზოგადოდ ეს მოქმედება სენტიმენტალურად არის დაწერილი, და კიდეც მოახდინა შთაბეჭდილება მაყურებლებზე. კარგი იყო ქ-ნი კარგარეთელი, განსაკუთრებით პირველ მოქმედების უკანასკნელ სცენაში. სხვებიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ. მეოთხე მოქმედების შემდეგ საზოგადოება ტაშის კვრით მიეგება ავტორს, ბ-ნ ნ. შიუკაშვილს, რომელიც მსახიობებმა სცენაზე გამოიყვანეს.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

## განცხადებანი

გამოცდილმა
მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინოსთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.57)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● —**
**—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბაზტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ანტონ კასრაძესთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—10 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა